საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. | № 203 (482) | სამშაბათი, 6 ოქტომბერი, 1992 წელი | ფასი 2 მანეთი

გაგრა, განთიადი და ლესელიძე საქართველოს კარიბჭეა. ქართველი კაცისათვის მათი დათმობა წარმოუდგენელია. ვერც დავთმობთ!

საინფორმაციო ცნობა

უხეშად დაარღვიეს ყველა ნაკისრი შეთანხმება

უკანასკნელი კვირების მანძილზე საქართველოს მხარეს სისტემატიურად გაჰყავდა თავისი შეიარაღებული ფორმირებები და საბრძოლო ტექნიკა 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის, აგრეთვე აფხაზეთში კონტროლისა და ინსპექციის კომისიის სოხუმში ჩატარებული სხდომის შემდგომ გადაწყვეტილებათა თანახმად. როგორც უკვე გატყობინებდით, კონტროლისა და ინსპექციის კომისიის მუშაობის დროს 1 ოქტომბერს სოხუმში აფხაზთა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ეგრეთ წოდებული კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ტერორისტ-დაქირავებულებთან ერთად უხეშად დაარღვიეს ყველა ნაკისრი შეთანხმება, წამოიწყეს დიდი მასშტაბის პროვოკაცია ყველა სახეობის იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის გამოყენებით ქალაქ გაგრისა და მიმდებარე რაიონების ხელში ჩაგდების მიზნით.

ამრიგად, სოხუმში კონტროლისა და ინსპექციის კომისიის სხდომა ფაქტობრივად ჩაიშალა და იძულებული გახდნენ იგი განეგრძოთ გუდაუთაში, სადაც კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ვ. არძინბამ. მიიღეს გადაწყვეტილება:

შეიქმნას შერეული კომისია მხარეთა წარმომადგენლებისგან 1992 წლის 1 ოქტომბერს ქალაქ გაგრის რაიონში მომხდარი ამბების გამოსაძიებლად.

კომისია მუშაობას შეუდგეს 1992 წლის 2 ოქტომბერს 11 საათიდან ქალაქ გუდაუთის აეროდრომზე. კომისიის განხილვის შედეგები მოხსენდეს კონტროლისა და ინსპექციის კომისიას 1992 წლის 3 ოქტომბერს.

აღდგეს სტატუს კვო, მხარეთა შეიარაღებული ფორმირებები დაბრუნდნენ პოზიციებზე, რომლებიც ეკავათ ამა წლის 1 ოქტომბრის 12 საათამდე.

მხარეებმა დაუყოვნებლივ გასცენ წერილობითი ბრძანებები კონფლიქტის ზონაში ცეცხლის განუახლებლობის შესახებ და ისინი წარუდგინონ კონტროლისა და ინსპექციის კომისიას; იკისრონ ვალდებულება, რომ მოწინააღმდეგის ცეცხლს ცეცხლითვე არ უპასუხებენ და შეწყვეტენ საომარი მოქმედება.

დაინტერესებულ მხარეთა სამხედრო წარმომადგენლებმა ამა წლის 3 ოქტომბერს კონტროლისა და ინსპექციის კომისიას წარუდგინონ კონკრეტული წინადადებანი მდინარე ბზიფის გაყოლებით კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შეიარაღებული ფორმირებების დაშორიშორების შესახებ.

1 ოქტომბერს შუადღის შემდეგ კონტროლისა და ინსპექციის კომისიის წევრთა ჯგუფს — ა. კავსაძე, გ. პაიჭაძე, გ. ლომინაძე, — რომლებიც ქალაქ გაგრაში ჩავიდნენ გუდაუთაში გამართული კონტროლისა და ინსპექციის კომისიის სხდომის შემდეგ, ზღვის მხრიდან დაუშინეს სპეციალურად მიმარჯვებულ კარჭაპზე დადგმული მსხვილკალიბრიანი იარაღის ცეცხლი. სროლა არ შეწყვეტილა მას შემდეგაც, რაც მიმართეს რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარებისა და საჰაერო დაცვის ჯარების წარმომადგენლებს.

2 ოქტომბერს დილით, ვერაგულად დაარღვია რა გუდაუთაში წინა საღამოს მიღწეული ცეცხლის შეწყვეტისა და გაგრის ზონაში სტატუს კვოს აღდგენის შესახებ მორიგება, აფხაზეთის მხარემ შეგნებულად მიმართა საომარი მოქმედების წინასწარ დაგეგმილ ესკალაციას, გააფართოვა თავდასხმის პლაცდარმი და კიდევ უფრო მეტი ძალებით, მძიმე საბრძოლო ტექნიკისა და არტილერიის მხარდაჭერით იერიში მიიტანა ქალაქ გაგრაზე ყოველი მხრიდან და შეიჭრა ქალაქის სიღრმეში, რამდენიმე კილომეტრზე. ამის შედეგად არის დიდძალი მსხვერპლი, დახოცეს და დაჭრეს სამხედრო მოსამსახურენი და მშვიდობიანი მოქალაქენი. ქალაქის ქუჩებში ბევრი გვამია. გადაბუგულია საცხოვრებელი სახლები, გაგრის ზონის ინფრასტრუქტურას მნიშვნელოვანი ზიანი მოუვიდა. მოდის ცნობები, რომ დაქირავებულებს ქართველი მოქალაქენი მიჰყავთ უცნობი მიმართულებით.

ამავე დროს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშის მისადგომებთან გრანატსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს სოხუმ-ოჩამჩირის სამარშრუტო ავტობუსს, ამ ბარბაროსული აქციის შედეგად ექვსი მგზავრი მძიმედ დაიჭრა, ერთი მათგანი სიკვდილის პირასაა.

ეჭვს არ იწვევს, რომ ამრიგად აფხაზეთის მხარემ გამოიყენა აფხაზეთში კონტროლისა და ინსპექციის სამმხრივი კომისიის საქმიანობა თავისი პროვოკაციული ზრახვების შესანიღბად, ისარგებლა გაგრის ზონიდან ძირითადი ქართული შეიარაღებული ძალების გაყვანით და იერიში მიიტანა იქ დარჩენილ ქვედანაყოფებზე, რასაც მოჰყვა მრავალი მსხვერპლი და ნგრევა, ტანჯვა-ვაება მოუტანა მშვიდობიან მოსახლეობას.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრესცენტრი

სოხუმი. 1992 წლის 3 ოქტომბერი

რეპორტაჟი

აფხაზეთის მძიმე დღეები



მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა კვირას სოხუმში. შეკრებილნი ულტიმატუმური ფორმით მოითხოვდნენ, რომ გადამწყვეტი ზომები იქნას მიღებული აფხაზი ექსტრემისტებისა და მათ მიერ დაქირავებული კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის წარმომადგენელი ბანდიტების მიმართ.

მძიმე დღეებს განიცდის აფხაზეთი. აფხაზეთის ხელმძღვანელმა პოლიტიკანებმა ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა კატასტროფისა და სამოქალაქო ომის ზღვარამდე მიიყვანეს. სოხუმსა და სხვა ქალაქებსა და სოფლებში გრძელდება ძარცვა და მარადიორობა. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვმა მრავალ ასეულს გადააჭარბა. არ მუშაობს საწარმოები, კატასტროფულად არ ყოფნით პური და სხვა სურსათი. აფხაზეთის მხარე არ ხსნის ბლოკადას რკინიგზაზე და ავტომაგისტრალებზე, გრძელდება დივერსიები.

სურათებზე: მრავალათასიანი მიტინგი სოხუმში ცენტრალურ მოედანზე; აი ასეთი პლაკატებით გამოვიდნენ მოედანზე სოხუმის მცხოვრებლები; მხოლოდ საზღვაო გზით შედის სოხუმში ფქვილი და ისიც ერთი დღე ძლივს ყოფნით; „ძირს სეპარატისტები!" ასეთია სოხუმში გამართული მიტინგის მონაწილეთა მთავარი მოთხოვნა.

მიტინგის ანგარიშს დღევანდელი ნომრის მეორე გვერდზე გთავაზობთ.

შაქვალად აივაზოვის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო") და საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ედუარდ შევარდნაძე:

ჩვენი დიაგნოზი, რომ საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებასთან გვაქვს საქმე, გაგრაში მომხდარმა მოვლენებმა დაადასტურა

1992 წლის 5 ოქტომბრის რადიოინტერვიუ

გაგრის მოვლენებმა უკიდურესად დაძაბა სიტუაცია, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, როცა კვირის მოვლენები გააანალიზა თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში ორშაბათს, 5 ოქტომბერს. — ველოდით თუ არა საკითხის ასე გართულებას, ასეთ უკან დახევას? პრინციპულად, არ ველოდით, მაგრამ ინტუიციითაც და ანალიზითაც ვგრძნობდით, ვხედავდით, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო ან აფხაზეთში, ან სხვაგან. სამწუხაროდ, ჩვენ ამისათვის მზად არ აღმოვჩნდით, და არ აღმოვჩნდით არა იმიტომ, რომ ვინმეს არ უნდოდა მზადყოფნა, არამედ ასეთ დროს რთულზე რთულია გათვალო ვარიანტები და ამასთან, ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორია, ჩვენი რესურსები ძალიან შეზღუდულია, რაც ნორმალურ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს, არ გაგვაჩნია.

მაგრამ არის იმის შესაძლებლობა, რომ თანდათან გავზარდოთ ჩვენი რესურსები და ეს უნდა გავაკეთოთ, თუმცა არ იქნება ადვილი საქმე. გამართლდა ჩვენი დიაგნოზი, რომ საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებასთან გვაქვს საქმე და ეს გაგრის მოვლენებმა, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში მომხდარმა ამბებმა და თბილისში ტერორისტული ჯგუფების გამოვლენის ფაქტორებმა დაადასტურეს.

ვვარაუდობდი, — განაგრძო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ, — რომ რაღაც სერიოზული შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ არა ასეთი მასშტაბით. ჩემი აზრით, ამ ძალებმა აამოქმედეს თავიანთი ბოლო რეზერვი და ამას ხელი შეუწყო რუსეთის პარლამენტის რეაქციულმა განცხადებებმა. ეს განცხადება რომ არ ყოფილიყო, შესაძლოა ყოველივე არც მომხდარიყო. თუმცა, მინდა

(დასასრული მე-2 გვ.)

11 ოქტომბერს საქართველოში არჩევნებია

არჩევნებამდე, რომელიც საქართველოს ბედს გადაწყვეტს, 5 დღე რჩება

წუხელ შევიტყვეთ

გაიმართა შტაბის სხდომა

ქუთაისის საგანგებო სამხედრო შტაბის სხდომამ მოისმინა აფხაზეთის მდგომარეობის საკითხი. სხდომაზე ინფორმაცია გააკეთა თენგიზ კიტოვანმა.

საომარ მზადებასთან ერთად მოისმინეს ქუთაისისა და მახლობელი რაიონების გამგეობათა თავმჯდომარეების, ადმინისტრაციული სამსახურების ხელმძღვანელების ინფორმაციები რეგიონში შექმნილი ოპერატიული ვითარების შესახებ და ლტოლვილების ორგანიზებულად მიღებასთან დაკავშირებით გადაწყდა რეგიონში გაიგზავნონ დამატებითი ძალები.

• • •

ორი პატარა ბავშვით რაღაც სასწაულით გამოაღწია განსაცდელს ლიხნელმა ირინე სირაძემ. ახლა მის მსგავსად აფხაზეთის ტრაგიკული ამბების გამო მარტო ქუთაისში ყოველდღე ათობით ლტოლვილი ჩამოდის. სამწუხაროდ, ყველამ როდი იცის, ქალაქის გამგეობასთან გაჭირვებაში ჩავარდნილ თანამოძმეთა პრობლემების მოგვარების ხელმძღვანელობის შტაბი რომ არსებობს.

— იმის თქმა, თითქოს ჩვენი საქმიანობა წარმატებით გამოირჩეოდეს, არაფრით არ შეიძლება, — ამბობს შტაბის ხელმძღვანელი თემურ ლოლაძე. — თვითონაც ხედავთ, უჭირს ქვეყანას და გვიჭირს ჩვენც. მაგრამ ცდას არ ვაკლებთ, რომ ოდნავ მაინც შევუმსუბუქოთ ბედი უსახლკაროდ და უსახსროდ დარჩენილ ადამიანებს. ისინი, ვისაც იმერეთში ახლობლები არა ჰყავს, სანატორიუმ-პროფილაქტორიუმ „ხათაფლიაში" დავაბინავეთ. ამავე მიზნით ვამზადებთ ადგილებს ქალაქში და მის მახლობლად დასასვენებელ სახლებსა და საერთო საცხოვრებლებში. მათ, ასევე ნათესავებთან და ახლობლებთან ჩამოსულ ლტოლვილებს ტალონები მიეცემათ. ყველანი მიმაგრებული არიან სასურსათო მაღაზიებზე.

მაკა კილაძე.

დაიღუპა ორი მფრინავი

გუშინ გაგრის ზონაში, დაბა ლესელიძესთან, საქართველოს ვერტმფრენებს ცეცხლი გაუხსნა გუდაუთის ბომბორის აეროდრომზე დისლოცირებულმა სამხედრო-საჰაერო ძალების სუ-25 ტიპის თვითმფრინავმა. ჭურვი მოხვდა ერთ-ერთ ვერტმფრენს, რომელიც დაზიანდა და ჩავარდა ზღვაში. დაიღუპა ორი მფრინავი.

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის"
და საქინფორმის
კორესპონდენტები

**ფაქტი
— მოვლენა
კომენტარი**

ნომერში

- გროზნოში ისევ „მტრები" და „აგენტები" ელანდებათ. — 3-4
- ქართულმა „ორბმა" ატლანტიკას გადაუფრინა. — 4

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

განცხადება

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. შევარდნაძის სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებით

ამა წლის 3 ოქტომბერს 18 საათსა და 20 წუთზე ქალაქ გაგრის მიდამოებში ვერტმფრენს, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე და მისი თანმხლები მთავრობის წევრები იყვნენ, შეუტია და ცეცხლი დაუშინა სამხედრო ვერტმფრენმა, რომელსაც ამოსაცნობი ნიშნები არ ჰქონდა.

საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ ჩადენილი ეს ტერორისტული აქტი მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს ქალაქ გაგრაში დატრიალებული ამბების ლოგიკური გაგრძელებაა, როცა, მუხანათურად დაარღვიეს რა ცეცხლის შეწყვეტისა და დაპირისპირებულ მხარეთა გამიჯვნის შესახებ წინა დღეს ხელმოწერილი შეთანხმება, აფხაზი სეპარატისტებისა და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან შემოჭრილი მათი დაქირავებულების შეიარაღებულმა რაზმებმა იერიში მიიტანეს ქალაქ გაგრაზე უახლესი მძიმე ტექნიკისა და სარაკეტო არტილერიის გამოყენებით.

დაუცველ ქალაქში ტერორისტების მიერ ჩადენილმა მასობრივმა მკვლელობებმა და ნგრევა-აწიოკებამ არსებითად არარად აქცია მიმდინარე წლის 3 სექტემბრის მოსკოვის შეხვედრის საბოლოო დოკუმენტის დებულება და მშვიდობიანი საშუალებებით კონფლიქტის მოწესრიგებისათვის მის შემდეგ განხორციელებული ყველა ღონისძიება.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო აცხადებს:

— მასობრივი მკვლელობების, ტერორისტული აქტების, მუხანათობისა და ვერაგობის, დადებულ შეთანხმებათა ფეხქვეშ გათელვის პასუხად სახელმწიფო საბჭო განახორციელებს ყველა იმ ღონისძიებას, რომელსაც მიიჩნევს საჭიროდ ასეთი მოქმედების ასალაგმად, საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებების დასაცავად.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო

სისხლიანი კონფლიქტის უმწვავესი კერა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიმართვა საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაციისადმი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს თვითმარქვია ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერაციის სამხედრო ფორმირებებმა აფხაზი სეპარატისტების უკანონო რაზმებთან ერთად ფართო მასშტაბით შეუტიეს ქ. გაგრას.

მათ შეძლეს თავდაცვის ხაზის გარღვევა და შეიჭრნენ ქ. გაგრაში, რასაც მოჰყვა უამრავი მსხვერპლი. ქალაქში შეჭრილი შეიარაღებული ბანდები ქ. გაგრიდან და მიმდებარე ტერიტორიებიდან მოსახლეობის დეპორტაციის მიზნით ფიზიკურად სპობენ მშვიდობიან მოსახლეობას, ხოცავენ დაჭრილებს, წვავენ საცხოვრებელ სახლებს, მიმართავენ ძალადობის ბარბაროსულ აქტებს. ქ. გაგრაში მსოფლიოს სისხლიანი კონფლიქტის უმწვავესი კერა შეიქმნა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო გთხოვთ დაუყოვნებლივ მოავლინოთ თქვენი წარმომადგენლები ქ. გაგრის ზონაში შექმნილი უმწვავესი ვითარების დასაფიქსირებლად და შესაძლებელი დახმარების აღმოსაჩენად.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო

1992 წლის 4 ოქტომბერი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული ყოფილი საბჭოთა არმიის, სასაზღვრო ჯარების, სამხედრო-სასაზღვრო ფლოტის კუთვნილი იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ქონების საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 25 ნოემბერს მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის, სასაზღვრო ჯარებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის კუთვნილი იარაღი, საბრძოლო მასალა, მიმოსვლის საშუალებანი, სამხედრო ტექნიკა, სამხედრო ბაზები და სხვა სამხედრო ქონება გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად. ამავე დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას დაევალა აღნიშნული ქონების საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის უზრუნველყოფა.

მიუხედავად ამისა, ეს პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს. გადაწყვეტილების შესრულებას აფერხებს ყოფილი სსრ კავშირის, ამჟამად რუსეთის ფედერაციის სამხედრო უწყებათა მიერ შექმნილი ზოგიერთი გადაულახავი დაბრკოლება.

ამასთანავე, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილები და სამხედრო ქონება რუსეთის ფედერაციის იურისდიქციაში გადავიდა ისე, რომ არ გაუთვალისწინებიათ ამ ქონების მიმართ საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი უფლებები და ინტერესები.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს აღნიშნულ სამხედრო უწყებათა სარგებლობაში არსებული ქონების ფარული გასხვისება.

იმის გამო, რომ კანონიერ მესაკუთრეს დროულად არ გადმოსცეს ქონება, განადგურდა, დაზიანდა და გამოსაყენებლად უვარგისი გახდა სამხედრო უწყებათა მფლობელობაში არსებული დიდძალი ქონება.

უგულებელყოფენ რა საქართველოს რესპუბლიკის კანონებს, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ამჟამად რუსეთის ფედერაციის სამხედრო უწყებებს თვითნებურად გააქვთ ქვეყნიდან იარაღი, საბრძოლო მასალები, მიმოსვლის საშუალებები, სამხედრო ტექნიკა და საჭურველი, საყოფაცხოვრებო და სხვა დანიშნულების ქონება.

სამხედრო შენაერთების დისლოკაციის ადგილებში უხეშად ირღვევა ეკოლოგიის ელემენტარული მოთხოვნები. მიწის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაუდევრად ექსპლოატაციის შედეგად ქვეყანამ მნიშვნელოვანი სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ზარალი განიცადა და დღესაც განიცდის.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ:

— უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული ყოფილი საბჭოთა არმიის, სასაზღვრო ჯარების, სამხედრო-სასაზღვრო ფლოტის კუთვნილი იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ქონების საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებაში დროულად გადმოცემა და სათანადო მოვლა-პატრონობა;

— არ დაუშვას ამ ქონების საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან გატანა, დაზიანება ან განადგურება.

2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს სამხედრო საქმისა და სამხედრო აღმშენებლობის კომისიამ სისტემატური კონტროლი დაუწესოს სახელმწიფო საბჭოს ამ დადგენილების შესრულებას და ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე ინფორმაცია წარუდგინოს სახელმწიფო საბჭოს ყოველ სხდომაზე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე
ჯ. იოსელიანი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი
ვ. გოგუაძე.

თბილისი. 1992 წლის 3 ოქტომბერი.

ედუარდ შევარდნაძე: ჩვენი დიაგნოზი, რომ საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებასთან გვაქვს საქმე, გაგრაში მომხდარმა მოვლენებმაც დაადასტურა

(დასასრული)

აქვე დავძინო, რომ ჯერჯერობით მე არ დამიკარგავს მთლიანი ნდობა და რუსეთის პრეზიდენტისა ჯერ კიდევ მჯერა. მაგრამ, ვიმეორებ, რუსეთის პარლამენტის განცხადებით ფაქტობრივად სამოქმედოდ მოუწოდეს სეპარატისტულ, ექსტრემისტულ და ყველა სხვა რეაქციულ ძალას. ნურავის ნუ ეგონება, რომ რეაქციული ჯგუფები მარტო რუსეთის პარლამენტში სხედან, მათ დასაყრდენი ჰყავთ სამხედრო წრეებშიც და სხვაგანაც. ეს ისტორიის ნარჩენია. და მალე, ალბათ, აღმოჩნდება იქ, სადაც არის მისი ადგილი, მაგრამ ბოროტ ძალებს საერთოდ აქვთ გაერთიანების საოცარი უნარი და სწორედ ამ მოვლენასთან გვაქვს ჩვენ საქმე. როცა აკვირდები, პირდაპირ გიკვირს კაცს, რა უნდა ესაქმებოდეთ რუსეთის წარმომადგენლებს ფაშისტურ ე. წ. კონფედერაციულ ძალებთან? ხომ აშკარაა, რომ გაგრაში მომხდარი მოვლენები მას უშუალოდ უკავშირდება და მისი გამოძახილია.

რეაქციის ძალების ამ გამოხდომის მიზანი არჩევნების ჩაშლა გახლავთ. თუ ისინი გაგრაში წარმატებას მოიპოვებდნენ, იქნებოდა დიდი მსხვერპლი, ალბათ, ფიქრობდნენ, რომ ეს არჩევნების ჩაშლის მთავარი ფაქტორი გახდებოდა, რესპუბლიკაში გაღრმავდებოდა ანარქია და გაიზრდებოდა სიტუაციაზე ხელის მომთხოვთა რიცხვიც. ასეთი ხელის მომთხოვნი ძალები კი ჩვენს გარშემოც არიან და შინაც მრავლად გვყავს.

მაგრამ, როგორც უნდა იყოს, ჩვენ თავი უნდა გავართვათ ამ ურთულეს პრობლემას, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — სხვანაირად წარმოუდგენელია. მე ვთქვი, აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საქმე ჩიხში მოექცა-მეთქი. მართლაც, ჯერჯერობით რაიმე სინათლეს ამ საქმეში ვერ ვხედავ, მაგრამ საქართველოს საერთო წინსვლა როდია ჩიხში მოქცეული, მე სოხუმში დავესწარი მიტინგს. (მისი მთლიანი ჩვენება, სამწუხაროდ, ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა), სადაც ერთ მუშტად შეკრული ჩანდა მთელი სოხუმის მოსახლეობა — ქართველებიც, სომხებიც და სხვებიც. სხვათა შორის, იქ იყვნენ ადამიანები და მთელი ჯგუფები ადამიანებისა, რომლებიც გუშინ და გუშინწინ სულ სხვანაირად აზროვნებდნენ და ლაპარაკობდნენ.

ძალიან მიხარია, რომ ჩვენი ეს უწმინდესი ქალაქი, ჩვენი სოხუმი ასე ერთ მუშტად არის შეკრული... იცით, დიდ წარმატებასაც და დიდ მარცხსაც თან სდევს ხოლმე ისეთი მომენტები, რომლებიდანაც ყველაზე მეტი სარგებლობის მიღება შეიძლება, ჩვენ სწორედ ეს მთავარი მომენტები უნდა მოვძებნოთ და მივყვეთ.

ხშირად გაისმის ხოლმე ლაპარაკი, თუ რატომ შეჩერდნენ ჩვენი ძალები სოხუმში, რატომ არ წავიდნენ წინ, ანდა რატომ არ მოხდა ბიჭვინთასა და ბზიფზე კონტროლი და ა. შ. მეც ვფიქრობ ამაზე, მაგრამ ჩვენი გეგმა ასეთი რამ არ ყოფილა. ჩვენი ძალების აფხაზეთში გადაადგილების მიზანი კომუნიკაციების დაცვა იყო, რომ სარკინიგზო მოძრაობის უსაფრთხოება ყოფილიყო უზრუნველყოფილი. ჩვენ სოხუმში შეჩერებას არც ვაპირებდით, იქ რჩებოდა ზემოთქმული მიზნებისათვის საჭირო ძალები და აზრადაც არ მოგვსვლია, რომ აფხაზეთის ხელისუფლება გაგვექცა. ჩვენ მათთან ერთად უნდა გვეკეთებინა ყველაფერი, მაგრამ აფხაზეთის ხელისუფლებამ გვიღალატა, გაიქცა გუდაუთაში, სოხუმში კი ცეცხლი გაუხსნა ჩვენს ჯარს და სისხლისღვრა მოაწყო. ჩვენი ძალები სოხუმში 3-4 დღე დაყოვნდნენ, რითაც საერთო სტრატეგიული გეგმა უკვე ჩაშლილი აღმოჩნდა.

ამასობაში აფხაზთა მხარემ გუდაუთაში თავი მოუყარა დიდძალ ხალხს, ამიტომ წინსვლას შესაძლოა აფხაზთა დიდი მსხვერპლი მოჰყოლოდა. ეს, ცხადია, არ უნდა მომხდარიყო. ამ განწყობილებით ჩვენ არ ვყოფილვართ, ასეთი განწყობილებით ცივილიზებული ხალხი არ მოქმედებს და არც ჩვენ გვიმოქმედია. ისე, სიმართლე გითხრათ, ძალებიც არ იყო საკმარისი, მაგრამ სოხუმში რომ არ დავყოვნებულიყავით, გუდაუთა მაშინ არ წარმოადგენდა რაიმე სიძნელეს, თუმცა მერე — შეიძლებოდა იმის გაკეთება, მაგრამ რა მძიმე შედეგები მოჰყვებოდა ამ ნაბიჯს, ამის გათვალისწინება აუცილებელია, როცა ამ თემაზე ვლაპარაკობთ. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. თუ იგი ამჟამად ჩვენს მხარესაა, მხოლოდ იმიტომ, რომ სწორედ ცივილიზებული გზა ავირჩიეთ. მსოფლიოს პროგრესულმა აზრმა რომ ზურგი შეგვაქციოს, არ შეიძლება. და ამას, ალბათ, არც მომავალი გვაპატიებს. იგივე უნდა ითქვას ბზიფზეც და ბიჭვინთაზეც.

გაგრის ზონაში სამხედრო ხელმძღვანელობის პრობლემებზე საუბრისას რადიოკომენტატორ ნატო ონიანის კითხვაზე ედუარდ შევარდნაძემ თქვა, რომ ამ ზონაში სამხედრო ხელმძღვანელობა არ იყო ერთიანი. გაგრაში რომ სამხედრო წესრიგი და გამართული სამხედრო ქვედანაყოფები ყოფილიყვნენ, ასე არ მოხდებოდა. რაოდენობრივად ძალები იქ იყო. მაგრამ ჩვენ ჯერ ხომ ნახევარსახელმწიფო ვართ, ერთიან არმიამდე ძალიან შორს ვართ. ყველაფერმა გაგრაში თავის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, წმინდა, პატრიოტი ადამიანების ზურგზე გადაიარა, ბევრი მათგანი გმირულად დაიღუპა, ამიტომ ახლა იმაზე ლაპარაკი — ამან ეს არ გააკეთაო, არ შეიძლება. არ იყო საშუალება და ბევრი რამ ამიტომაც ვერ გაკეთდა.

გაგრა, განთიადი და ლესელიძე საქართველოს კარიბჭეა. ქართველი კაცისათვის მათი დათმობა წარმოუდგენელია, ვერც დავთმობთ. ამიტომ იქ შეიქმნა ერთიანი სამხედრო ხელმძღვანელობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ყარყარაშვილი, თავისი შტაბით. სოხუმში იმოქმედებს მთავარი საკოორდინაციო შტაბი ავთანდილ ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით. მთავარ შტაბს დაემორჩილება ყველა. მართვის ეს სისტემა უნდა მოგვეარდეს. ცალ-ცალკე, ჩანს, საქმის გაგრძელება აღარ ივარგებს.

1992 წლის 5 ოქტომბრის რადიოინტერვიუ

შეეხო რა მის ვერტმფრენზე თავდასხმის ფაქტს, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ დღესაც უჭირს დაჯერება, რომ ვიღაცას შეეძლო ასეთ ქმედებაზე წასვლა. მაგრამ, ვერტმფრენთან დაკავშირებით მომხდარი ფაქტი, როგორც ჩანს, რეაქციული ძალების ისეთი ბოლო შანსი იყო, — თქვა მან, — რომელსაც გაგრის მოვლენასთან ერთად მეტად დიდი ეფექტი უნდა მოეხდინა. ისეთი ეფექტი, რომელიც არჩევნებს ნამდვილად ჩაშლიდა. მაგრამ ეს რომ არ მოხდა, ჩვენი ვერტმფრენის და სხვა ვერტმფრენების მეთაურთა ვაჟკაცობის და უმაღლესი პროფესიონალიზმის შედეგია, მათ ნამდვილი გმირობა ჩაიდინეს. იმაზე უფრო დიდი ავანტიურა, რაც იქ მოხდა, წარმოუდგენელია.

რუსეთთან მომავალი ურთიერთობის საკითხებზე საუბრისას სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ეს ხაზი გაუსვა ამ ურთიერთობის თანასწორუფლებიანობის ნიადაგზე განვითარების აუცილებლობას და აღნიშნა, რომ სულაც არ არის ძნელი ვინმესთან ურთიერთობის საერთოდ გაწყვეტა და ამით გმირის იმიჯის შექმნა, მაგრამ რა შედეგები მოჰყვება მას, არც ეს უნდა იყოს ძნელი ამოსაცნობი. ამასთან, ნუ გვავიწყდება ისიც, რომ ჩვენი მორალური და ზნეობრივი სახე ნებისმიერი გაჭირვების თუ უბედურების მომენტში უნდა შევინარჩუნოთ, არ უნდა დავკარგოთ იგი და თუ დავკარგეთ, ყოველნაირად უნდა ვეცადოთ აღვადგინოთ, რადგან მან უნდა გადაგვარჩინოს. როცა რუსეთზე ვლაპარაკობთ, იმ მომენტში ხომ უნდა წარმოვიდგინოთ საქართველო-რუსეთის საზღვარი, უზარმაზარი დაუცველი სივრცე, საიდანაც შესაძლოა ორ წუთში წაგვლეკონ, თუკი მოინდომეს და კარგი ურთიერთობა არ გვექნა. რუსეთთან კარგი ურთიერთობის გარეშე ჩვენი ჩრდილოეთის საზღვრების დაცვა წარმოუდგენელია. პრინციპული პოზიცია ყოველთვის მთავარი უნდა იყოს ჩვენს პოლიტიკაში, მაგრამ რეალურობის შეგრძნება, ერთადერთი რეალური გზის მოძებნის უნარი არ უნდა დავკარგოთ.

შემდეგ ედუარდ შევარდნაძე შეეხო საქართველოს საერთაშორისო აღიარების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ იმის ფიზიკური ხაზოში, რასაც საერთაშორისო ფაქტორს ვუწოდებთ, არ არსებობს. მაგრამ მხარი რომ არ დაეჭირა მსოფლიოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ევროპის საერთაშორისო ორგანიზაციებს, პლანეტის უდიდეს სახელმწიფოებს, ალბათ უკვე გადაგვთელავდნენ. რუსეთის რეაქციული წრეები, რომ იტყვიან, პირდაპირ კბილებს ილესავენ, რომ ანგარიში გაგვისწორონ, მაგრამ ისიც კარგად იციან, თუ უკიდურეს აგრესიაზე წავლენ, მათი ქვეყანა საერთაშორისო მხარდაჭერას დაკარგავს. ეს მხარდაჭერა კი მათთვის არანაკლებ არის საჭირო — ეს გახლავთ 24 მილიარდი დოლარი ე. ი. დიდძალი სურსათი, მედიკამენტები და ა. შ. ამიტომ ვერ გადადგამენ საბედისწერო ნაბიჯს, რადგან საერთაშორისო ფაქტორი უდიდეს როლს ასრულებს და მისი მნიშვნელობა ძალიან დიდია.

წარმოიდგინეთ რა მოხდებოდა, — განაგრძო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ, — რომ გაეროს გენერალურ მდივანს მხარი არ დაეჭირა, გენერალური ასამბლეის სხდომაზე ჩვენთვის არ მოესმინათ. მაგრამ ეს ჯერ დასაწყისია. წინ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, ამიტომ მარტო ემოციებით, მარტო გრძნობებით საუბარი არ შეიძლება. პროცესები ისე ვითარდება, რომ ნატო უნდა იქცეს უდიდეს მასტაბილიზებელ ძალად. ჩვენ ჯერ იქ არავინ მიგვიღებს, მაგრამ ასეთ პროცესს ჩვენ ყოველთვის მხარს დავუჭერთ და მივესალმებით, რადგან ახალ წესრიგზეა ლაპარაკი და ამ წესრიგში ჩვენც, ჩვენმა ქვეყანამაც უნდა შეიტანოს და შეაქვს კიდეც თავისი წვლილი. ჩვენ უნდა გავიხსენოთ საქართველოს ისტორია, როცა ჩვენი წინაპრები თვით მოსისხლე მტრებთანაც კი საუბრობდნენ, მძევლობაზეც მიდიოდნენ, რომ დრო მოეგოთ...

რადიოკომენტატორის კითხვაზე, თუ როგორია წინასაარჩევნო სიტუაცია, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა: მე დიდი იმედი მაქვს, რომ არჩევნები ჩატარდება დასავლეთ საქართველოშიც, თვით ლესელიძესა და განთიადშიც, რომლებიც ახლა ძალიან რთულ მდგომარეობაში არიან. მათთან საუბარმა დამარწმუნა, რომ არჩევნებზე მივა გაგრის ზონიდან აქ ლტოლვილი ხალხი, სხვათა შორის, ისინიც კი, ვინც ამჟამად რუსეთის ტერიტორიაზე გადავიდა, მათაც გამოთქვეს მზადყოფნა მასობრივად ჩამოვიდნენ და მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში. უნდა აღვნიშნო, რომ ეს ადამიანები მარტო ქართველები როდი არიან. აქ ახლა სომხებიც არიან და სხვებიც. ასე რომ, აქ ერთსულოვნება არის. დიდ იმედს მინერგავს სოხუმი, სადაც ერთხმად გრგვინავდა მრავალათასიანი მიტინგი, რომ არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას.

გაჭირვებაა სამეგრელოს რეგიონში, — თქვა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ, — მაგრამ თენგიზ კიტოვანის მისიამ ეს პრობლემა უნდა მოხსნას. იგი იქ დიდ და სასარგებლო საქმიანობას ეწევა. მას ახლა ძალებიც ჰყავს, მაგრამ ვფიქრობ, მათი გამოყენება არ იქნება აუცილებელი. სამეგრელო უნდა დამშვიდდეს, სამეგრელო არ უნდა იყოს ვინმეს სათარეშო მხარე, ის არ იმსახურებს ამას. არჩევნები ჩვენი იმედის არჩევნებია, იგი სრული წესრიგის დამყარების გარანტიას მისცემს ჩვენს ხალხს, რომელსაც ახლა უკიდურესად უჭირს. შეფერხებაა სურსათით, ნავთობპროდუქტებით მომარაგებაში. იცით, ამ საკითხების განხილვისას (ამას ჩვენ რეგულარულად ვაკეთებთ ხოლმე) მრჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს ხალხი მარტო თავისთვის მუშაობს, ვერ ვიტყვი, რომ საბოტაჟია, მაგრამ მისი ნიშნები კი ნამდვილად არის.

პურით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებებზე საუბრის დროს ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ პური ახლა მეტი ცხვება, ვიდრე ადრე, მაგრამ არის შეფერხებები მის მიტანაში, ვაჭრობაში, არის სიყალბის ჩადენის ფაქტები, როცა ვითომ პური გამომცხვარია, მაგრამ სინამდვილეში ფქვილი იყიდება მამასისხლად და სხვა. ასეთ ფაქტებს არ უნდა შევეგუოთ. ჩვენი შესაბამისი სამსახურები ახლა ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ თანდათან შევქმნათ სასურსათო რესურსები, ხორბლის რესურსების მარაგი. სიმართლე გითხრათ, მე არ ვაპირებდი არჩევნების წინ რაიმე გამოსვლებს, მაგრამ ალბათ ახლა საჭირო იქნება ეს გავაკეთო, რომ ყველაფერ ამაზე ვისაუბროთ და საერთოდ განვსაზღვროთ, თუ რა ეტაპზე ვიმყოფებით, — თქვა დასასრულს ედუარდ შევარდნაძემ.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრესცენტრი.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს
ბატონ ბორის ელცინს

აფხაზეთის ტერიტორიაზე კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ ქალაქ მოსკოვში 1992 წლის 3 სექტემბერს მიღწეულ მორიგებათა მიუხედავად, რომელსაც ხელი მოაწერეს რუსეთისა და საქართველოს დელეგაციებმა აფხაზეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა მონაწილეობით:

1. გრძელდება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან ექსტრემისტებისა და დაქირავებულების ნაკადის შემოსვლა, რაც ხელს უწყობს კონფლიქტის ესკალაციას.
2. აფხაზეთის უკანონო სამხედრო ფორმირებებს ამ ბოლო დღეებში გაუჩნდათ ყოველგვარი ოფიციალური ხელშეკრულებებით გაუთვალისწინებელი მძიმე სამხედრო ტექნიკა, რამაც საშუალება მისცა მათ დაერღვიათ სამმხრივი კომისიის გადაწყვეტილებანი და გადასულიყვნენ შეტევაზე ქალაქ გაგრის რაიონში.
3. აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების სამმხრივმა კომისიამ არ შეასრულა მისთვის დაკისრებული მოვალეობანი ამ კომისიის რუსეთის მხარის მიზეზით, რომელმაც ფაქტობრივად ხელი შეუწყო საბრძოლო მოქმედების ესკალაციას ქალაქ გაგრის რაიონში.

ზემოთქმულის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო მოითხოვს აფხაზეთის უკანონო სამხედრო ფორმირებისათვის საბრძოლო მარაგისა და ტექნიკის ნაკადის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და რუსეთის მხარის მიერ მოსკოვის ხელშეკრულების განუხრელ შესრულებას;

მოსკოვის ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო საბჭო იტოვებს უფლებას მოითხოვოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის მთელი შეიარაღებული ძალების სრული გაყვანა და მისთვის შესაბამისი მორიგებებით გათვალისწინებული იარაღის მთელი კვოტის გადაცემა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.

მის აღმატებულებას ნატოს გენერალურ მდივანს
ბატონ მანფრედ ვერნერს

თქვენო აღმატებულებავ!

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო გაცნობებთ, რომ ამა წლის 1 ოქტომბერს აფხაზმა სეპარატისტებმა რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებიდან შემოჭრილ დაქირავებულ ტერორისტებთან ერთად დიდი მასშტაბის იერიში მიიტანეს ქალაქ გაგრაზე, რათა გავიდნენ საქართველო-რუსეთის საზღვარზე და აფხაზეთის ჩრდილოეთი ნაწილი მოწყვიტონ საქართველოს, რითაც უხეშად დაარღვიეს მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა.

მოიერიშეები იყენებენ ახალი ტიპის მძიმე ტანკებსა და სხვა თანამედროვე იარაღს, რომლებიც რუსეთის არმიის შეიარაღებაშია.

საქართველოს ჯარები, რომლებიც ზუსტად იცავენ მოსკოვის მიმდინარე წლის 3 სექტემბრის შეთანხმებას, რომელსაც ხელი მოაწერეს ე. შევარდნაძემ და ბ. ელცინმა, აღმოჩნდნენ დაუფარავი აგრესიის ობიექტი და იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ სამხედრო ძალის წინაშე, რომელიც ბევრად აღემატება მისას როგორც ტექნიკით, ისე რაოდენობით. იღუპებიან და ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან ადამიანები, ძირითადად მშვიდობიანი მოსახლეობა, ძარცვავენ და ცეცხლს უკიდებენ სახლებს, გაჩნდა ათასობით ლტოლვილი.

ქართველი ხალხი არ დაუშვებს თავისი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას და მთელი ძალებით დაიცავს მის ხელშეუხებლობას. გამოცხადებულია რეზერვისტთა მობილიზაცია რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შესავსებად.

სავსებით ცხადია აფხაზი სეპარატისტებისა და რუსეთის რეაქციული ძალების შეთქმულება. რუსეთის ფედერაციის პარლამენტის მიერ მიღებულმა აქტებმა ხელი შეუწყო კონფლიქტის ესკალაციას, გააქტიურა ექსტრემისტული ძალები, პროვოკაციულად გამოიწვია ბოლო დღეების სისხლიანი მოვლენები.

უფრო მეტიც, სამი სექტემბრის შემდეგ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან ორგანიზებული სამხედრო ჯგუფების ნაკადი გაიზარდა, რაც ხდება როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო გზით, რომლებსაც კონტროლს უწევენ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები.

საქართველოში ბოლო დროს დატრიალებული მოვლენების განვითარება აშკარად მოწმობს, რომ ანტიდემოკრატიული განწყობილება რუსეთში ძალას იკრებს; მისი საბოლოო გამარჯვება საფრთხეს უქმნის არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიო გაერთიანების უშიშროებას.

საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებული აგრესიის კულმინაცია გახდა ამა წლის 3 ოქტომბერს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. შევარდნაძის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტი.

ცხადი ხდება, რომ აგრესიული ძალები არაფერს მოერიდებიან, ოღონდ ფართო მასშტაბის ომი გაჩაღდეს მთელი კავკასიის რეგიონში, რაც საფრთხეს უქმნის ევროპის მშვიდობასა და უშიშროებას.

ყოველივე ეს გვაიძულებს მოგმართოთ თხოვნით, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოთ შექმნილ სიტუაციას.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო.

ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

პარტიულ სიებში შეტანილ ზოგიერთ დეპუტატობის კანდიდატთა მონაცემებში, რომლებიც პრესაში გამოქვეყნდა, დაშვებულია უზუსტობანი. უნდა იყოს:

ბლოკი „11 ოქტომბერი“

ოლქი № 4, მრავალმანდატიანი ოლქი.

№3. მირზა მამედ ოღლი მაშოვი — 1957, ფილოლოგი, ჟურნალისტი, სატელერადიოდეპარტამენტის აზერბაიჯანულ გადაცემათა რედაქციის რედაქტორი, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი, უპარტიო.

№ 6 მრავალმანდატიანი ოლქი

№5. ნერგაძე თეიმურაზ იაშას ძე — 1954, დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, ფსიქოლოგი, მეცნიერ მუშაკი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, საქართველოს სახალხო ფრონტი.

№6 მრავალმანდატიანი ოლქი

№22. ლევან ვარლამის ძე მეხი — 1954, ფიზიკოსი, სსფ-ს თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო საბჭოს წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მეცნიერ თანამშრომელი, საქართველოს სახალხო ფრონტი.

საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია

№1 მრავალმანდატიანი ოლქი

№ 8. ბერიძე ალექსანდრე მიხეილის ძე — 1915, ისტორიკოსი, პროფესორი, პოლკოვნიკი, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრი, ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სამხედრო კათედრის უფროსი, უპარტიო.

• • •

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით აღდგენილ იქნა დეპუტატობის კანდიდატად:

ხალხთა მეგობრობისა და სამართლიანობის პარტია

№ 5 მრავალმანდატიანი ოლქი

№1. ცქიფურიშვილი ვახტანგ გიორგის ძე — 1933, არქიტექტორი, საქართველოს დიზაინერთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი, უპარტიო.

არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკების და პირადი განცხადებების საფუძველზე მოხსნილი არიან არჩევნებიდან შემდეგი დეპუტატობის კანდიდატები:

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი

ფანგანი დავით ტრისტანის ძე — №8 ოლქი

ქართველ შეფიცულთა კავშირი

გელაძე დავით გივის ძე — №3 ოლქი

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტია

1. ძიძიშვილი ზეინაბ მიხეილის ასული — №5 ოლქი
2. სისაური მარინა არჩილის ასული — №5 ოლქი

საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია

1. ჯალიაშვილი ვასილ გრიგოლის ძე — №9 ოლქი

საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი

კაპანაძე ვახტანგ ოლიფანტეს ძე — № 1 ოლქი

სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისა“

ბერიშვილი სოსო კარლოს ძე №1 ოლქი

სრულიად საქართველოს სელიმ ხიმშიაშვილის საზოგადოება

გოთუა ვახტანგ სამუელის ძე — №7 ოლქი

წულუკიძე ნუგზარ სულეიმანის ძე — №10/81 ქობულეთის საარჩევნო ოლქი

სარდლიშვილი ჯუმბერ კონსტანტინეს ძე №5/27 მცხეთის საარჩევნო ოლქი

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

გაიმართა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა, რომელმაც განიხილა საქართველოს პარლამენტის არჩევნების მზადებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები, ასევე აჭარის რეგიონში განლაგებული საოლქო კომისიების შემოწმების მასალები.

სხდომაზე იმსჯელეს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ საარჩევნო უბნების შექმნის თაობაზე. 11 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარდგინებით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოსკოვში შექმნა საარჩევნო უბანი. იგი მოთავსებულია რუსეთში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის შენობაში, ფალიაშვილის ქუჩის 6-ში. მოსკოვის საარჩევნო უბანი მიეწერა თბილისის მთაწმინდის 1/1 საარჩევნო ოლქს.

საქართველოს სახელმწიფო საბჭოში
საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია

გასულ შაბათ-კვირას პრაქტიკულად შეუსვენებლად მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო საბჭო. მისი ყურადღების ცენტრში იყო აფხაზეთის ამბები, სადაც აფხაზი ექსტრემისტებისა და ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსული ტერორისტების აგრესიასთან დაკავშირებით მეტად მწვავე ვითარება შეიქმნა — რამდენიმე ათეული ადამიანი დაიღუპა და ქალაქ გაგრის ზონის ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები, რომლებიც გაურბიან მკვლელობასა და მძარცველებს, ლტოლვილები გახდნენ, დაიწვა საცხოვრებელი სახლები...

სხდომას უძღვებოდა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა იოსელიანი. სახელმწიფო საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული ყოფილი საბჭოთა არმიის, სასაზღვრო ჯარების, სამხედრო-საზღვაო ფლოტის იარაღის, საბრძოლო მასალების, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ქონების საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის მიმდინარეობის შესახებ. ამ დოკუმენტის თანახმად, რესპუბლიკის მთავრობას დაევალა უზრუნველყოს, რომ რესპუბლიკას საკუთრებაში დროულად გადაეცეს მთელი ეს ქონება და სათანადოდ იყოს მოვლილი; არ დაუშვას საქართველოს ტერიტორიიდან მისი გატანა, გაფუჭება ან მოსპობა.

ჯაბა იოსელიანმა აუწყა სახელმწიფო საბჭოს წევრებს, რომ ხელყვეს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის სიცოცხლე, როცა იგი და მისი თანმხლები მთავრობის წევრები დაბა ლესელიძიდან ვერტმფრენით სოხუმს გაფრინდნენ. ვერტმფრენზე, როცა იგი ზღვაზე მიფრინავდა, იერიში მიიტანა სამხედრო ვერტმფრენმა, რომელსაც არ ჰქონდა ამოსაცნობი ნიშნები. მხოლოდ პილოტების ოსტატობის მეოხებით მოხერხდა ტრაგედიის თავიდან აცილება. საერთაშორისო ტერორიზმის ამ მორიგ აქტთან დაკავშირებით სახელმწიფო საბჭომ მიიღო განცხადება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ მასობრივ მკვლელობებს, ტერორისტულ აქტებს, მუხანათობისა და ვერაგობის გამოვლენას, დადებული შეთანხმების გათელვას სახელმწიფო საბჭო უპასუხებს ყველა იმ ღონისძიებით, რომლებსაც მიიჩნევს საჭიროდ ასეთი მოქმედების ალაგმვისათვის, საქართველოს რესპუბლიკის სუვერენულ უფლებათა დაცვისათვის. ამავე სხდომაზე სახელმწიფო საბჭომ მიიღო წერილი ნატოს გენერალური მდივნის მანფრედ ვერნერისადმი, რომელშიც სთხოვს მას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს საქართველოში შექმნილ სიტუაციას, რადგან, ნათქვამია წერილში, ცხადი ხდება, რომ აგრესიული ძალები არაფრის წინაშე უკან არ დაიხევენ, რათა გამოიწვიონ ფართო მასშტაბის ომი მთელ კავკასიის რეგიონში, რაც საფრთხეს უქმნის ევროპაში მშვიდობასა და უშიშროებას. გადაწყდა აგრეთვე წერილი გაუგზავნონ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის სამდივნოს. სახელმწიფო საბჭომ თხოვნით მიმართა საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაციას, დაუყოვნებლივ გაგზავნოს ქალაქ გაგრაში თავისი წარმომადგენლები იქ შექმნილი უმძიმესი ვითარების გასაცნობად და შესაძლო დახმარების აღმოსაჩენად.

სხდომაზე ჯაბა იოსელიანმა ოფიციალურად უარყო იმავე დღეს რუსეთის ტელევიზიით გადმოცემული იტარ-ტასის ცნობა, თითქოსდა სოხუმში ედუარდ შევარდნაძეს განეცხადებინოს, შეიძლება გადავდგე იმის გამო, რომ სიტუაცია ჩიხში მოექცაო. ეს მორიგი სიცრუე და დეზინფორმაცია, ხაზგასმით აღნიშნა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ.

მრავალათასიანი მიტინგი სოხუმში
ჩვენი ძალა ერთობაშია

4 ოქტომბერს აფხაზეთის დედაქალაქის მთავარ მოედანზე გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, რომელზეც სოხუმელები და ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი ხვალინდელ დღეზე, საქართველოს ბედზე წუხილით სახალხოდ განიხილავდნენ აფხაზეთში შექმნილ მძიმე მდგომარეობას.

მხოლოდ ქართველი ხალხის კონსოლიდაცია, მხოლოდ 1992 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების წარმატებით ჩატარება, აღნიშნავდნენ მიტინგის მონაწილენი, შემატებს მამულს ძალასაც და უბედურებაში გაძლების შესაძლებლობასაც.

აქ არ ყოფილა შურისძიების მოწოდებანი, პირიქით, სჯა-ბაასი იყო იმაზე, თუ როგორ შეწყდეს სისხლისღვრა, და იმაზე, რომ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართონ ძალის გამოყენებას გათავხედებული აგრესორების ჩასახშობად.

მიტინგზე აფხაზეთის საზოგადოებრიობის სახელით გამოსულმა **რაულ ეშბამ** გულისწყრომით დაგმო აფხაზ ვაი-პოლიტიკოსთა და მათი დამქაშების მოქმედება, რომლებმაც ძმათამკვლელი ომი გააჩაღეს აფხაზეთში. ჩვენი აზრით, თქვა მან, სოხუმში, არა უგვიანეს 8 ოქტომბრისა უნდა გაიმართოს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესია, სადაც უნდა მოხდეს პარლამენტის თვითდაშლა, რომელმაც დაუშვა ხალხის დღევანდელი ტრაგედია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შევიკრიბებით ამ მოედანზე და ავირჩევთ ეროვნული ხსნის კომიტეტს, რომელსაც დავავალებთ გამონახოს გამოსავალი დღევანდელი ტრაგედიიდან.

ავტონომიური რესპუბლიკის რუსი მოსახლეობის სახელით გამოვიდა **ვასილ კადენცევი**, სომეხი მოსახლეობის სახელით — **ვართან ოგანესიანი**. მათ დაგმეს არძინბას ხროვა ყველა უბედურებისათვის, რომლებიც თავს დაატყდა აფხაზეთის ხალხებს.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატმა **რაისა კარაიამ**, ცნობილმა ქართველმა მწერალმა **გენო კალანდიამ** და აფხაზეთში შეიარაღებული ფორმირების „მხედრიონის“ ხელმძღვანელმა **ბორის კაკუბავამ** სამეგრელოს მოსახლეობას მოუწოდეს დაივიწყონ ყველა წყენა და უთანხმოება და მხარში ამოუდგნენ აფხაზეთის უბედურებაში ჩავარდნილ მცხოვრებლებს.

დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ტრიბუნაზე საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის გამოჩენას, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა მიტინგის მონაწილეთა წინაშე.

იგი გულთბილად მიესალმა შეკრებილთ, გააანალიზა კონფლიქტის ზონაში მოულოდნელად შექმნილი მძიმე მდგომარეობა, დაწვრილებით ილაპარაკა იმ მიზეზებზე, რომლებსაც მოჰყვა ტრაგედია გაგრაში, ღონისძიებებზე, რომლებსაც საქართველოს ჯარების სარდლობა ახორციელებს ლესელიძეში, სადაც იმყოფებოდა თვითონ, ესაუბრა მეომრებსა და ლტოლვილებს. საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე შეეხო უნაყოფო მოლაპარაკებას აფხაზეთის მხარესთან, აფხაზეთში კონტროლისა და ინსპექციის მოსკოვის სამუშაო ჯგუფის უნიათო მუშაობას, რომელიც ხელს უწყობს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოსკოვის ხელშეკრულების სამმხრივი შეთანხმებების მუდმივ ჩაშლასა და შეუსრულებლობას, ჯარების დაშორიშორებისა კონფლიქტის ზონაში, კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის უკანონო სამხედრო ფორმირებათა გაყვანას, და აფხაზეთის მთელ მოსახლეობას მოუწოდა შეკავშირებისა და ერთიანობისაკენ, რათა ვერაგ მტერს დაუპირისპირონ თავიანთი უძლეველი ძალა.


GEORGIA IS VICTIM OF HOSTILE CONSPIRACY
STO
PRO
FAS

მიტინგზე მიღებულ მიმართვაში, მისმა მონაწილეებმა მოითხოვეს:

1. აფხაზ სეპარატისტთა და ჩრდილოეთ კავკასიის ტერორისტთა სისხლიანი აქცია გაგრაში შეფასდეს როგორც კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული და დაუყოვნებლივ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე არძინბას მეთაურობით ამ აქციის ორგანიზატორთა მიმართ.
2. დათხოვნილ იქნეს აფხაზეთის უზენაესი საბჭო და გადაყენებულ იქნეს მთავრობა როგორც სამოქალაქო ომის გაჩაღების ინიციატორები.
3. დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დროებითი მმართველობის ორგანო.
4. შეწყდეს ყოველგვარი მოლაპარაკება არძინბას სისხლიან ხროვასთან და განხორციელდეს გადამწყვეტი სამხედრო ღონისძიებანი აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო წესრიგის დასამყარებლად.
5. შეიქმნას გაგრის ტრაგედიის შემსწავლელი სახელმწიფო კომისია. ტრიბუნალში მიეცეს ყველა ბრალეული სამხედრო და სამოქალაქო პირი.
6. დაუყოვნებლივ იქნეს გაყვანილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში
მინდვრის სამუშაოების წარმატებით შესრულებისათვის

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ განიხილა საკითხი რესპუბლიკაში საშემოდგომო მარცვლეულის ფართობების გადიდების, მინდვრის სამუშაოთა ტემპის დაჩქარებისა და საშემოდგომო თესვის აგროვადებში დამთავრების დამატებით ღონისძიებათა შესახებ.

მთავრობამ 1993 წლის მოსავლისათვის საშემოდგომო მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობების გადიდების, მინდვრის სამუშაოთა ტემპის დაჩქარებისა და საშემოდგომო თესვის აგროვადებში დამთავრების მიზნით მიიღო სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება და განსაზღვრა 1993 წლის მოსავლისათვის რაიონების მიხედვით ყველა კატეგორიის მეურნეობებში საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვისა და თესლის გამოყოფის დავალებანი. საშემოდგომო მარცვლეულის მწარმოებელი რაიონების (ქალაქების) ხელმძღვანელებს, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროებს, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებისა და მეურნეობების ხელმძღვანელებს დაევალათ მიიღონ გადამჭრელი ზომები წინამორბედი კულტურების მოსავლის აღების დასაჩქარებლად და მცენარეული ნარჩენებისაგან მინდვრების დაუყოვნებლივ გასათავისუფლებლად. მათ უნდა განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი იმისათვის, რომ სრულად უზრუნველყონ ყველა კატეგორიის მეურნეობების მიწის ფართობები — კონდიციური თესლით. დააკისრონ მეურნეობათა ხელმძღვანელებს პერსონალური პასუხისმგებლობა სრული მოთხოვნილების ოდენობით საშემოდგომო კულტურების თესლის შენახვისათვის, საჭიროების კვალობაზე მოაწყონ არსებული ნამეტი თესლის გაცვლა და გადანაწილება მეურნეობებს შორის იმის გათვალისწინებით, რომ რაიონები მთლიანად იქნენ უზრუნველყოფილი თესლით. საჭიროა დროულად იქნეს უზრუნველყოფილი მინერალური სასუქების შეზიდვა მეურნეობებში;

დახმარება აღმოუჩინონ მეურნეობებს და მკაცრი კონტროლი გაუწიონ საწვავ-საცხები მასალების შეზიდვას, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ შესაძლებლობის მიხედვით თითოეულ მეურნეობაში შეიქმნას იმ რაოდენობის ნავთობპროდუქტების მარაგი, რაც უზრუნველყოფს მანქანა-ტრაქტორთა პარკის შეუფერხებელ მუშაობას მინდვრის საშემოდგომო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროებმა რესპუბლიკურმა საწარმოო გაერთიანება „საქმარცვალჯიშთესლმა“ უნდა მიიღონ ზომები იმისთვის, რომ უმოკლეს ვადაში დამთავრდეს საშემოდგომო მარცვლეული კულტურების თესლის დამზადება, წმენდა — დახარისხება და მთელი რიგი რაიონების მეურნეობებში არსებული დეფიციტის შევსება, მაღალმთიანი რაიონების მეურნეობებისათვის გარდამავალი ფონდებიდან თესლის გამოყოფა.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა მიიღოს ზომები მანქანა-ტრაქტორებისათვის მარაგნაწილებისა და საცვლელ კვანძებზე მეურნეობების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, უზრუნველყოს დაწესებულ ვადებში მინერალური სასუქების შეზიდვა რაიონებში მოთხოვნილი ოდენობის ფარგლებში.

კონცერნმა „საქნავთობპროდუქტმა“ უნდა განახორციელოს ნავთობპროდუქტების მიწოდება იმ ვარაუდით, რაც უზრუნველყოფს ნიადაგდასამუშავებელი და სათესი ტექნიკის რიტმულ მუშაობას.

რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს, საქინფორმს, საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტს ეთხოვა ფართოდ გააშუქონ 1993 წლის მოსავლისათვის საშემოდგომო კულტურებისათვის თესლის დამზადების, ნიადაგის მომზადებისა და თესვის მიმდინარეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲓᲐᲜ



ᲠᲐ ᲒᲖᲐᲡ ᲐᲕᲘᲠᲩᲔᲕᲗ

— **ᲛᲐᲘᲜᲪ** ვინ არიან ისინი, ვინც იმუქრება?

— ყველა მათგანი ცნობილია, შეიარაღებულები გახლავან.

— დაგმეთ! ეს სისხლის სამართლის დანაშაულია, აღიძრა საქმე?

— არც ერთი.

— ალავერდი თქვენს მილიციასა და პროკურატურასთან ვარ. ხშება: ბევრი ძმები თავად მათ შორისაა...

ᲐᲛ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲡ, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგ სხდომაზე კომისიის ერთ-ერთ წევრსა და სენაკის საარჩევნო ოლქის თავმჯდომარეს მხედარ ჩარაიას შორის გაიმართა, სრულიად მარტივი კომენტარი აქვს: ყველაფერი ცნობილია, მაგრამ არავინ ისჯება.

და კიდევ: თუ გასულმა არჩევნებმა დიდი მონდომებითა და ენთუზიაზმით ჩაიარა, ამჟამინდელ არჩევნებს შიშის, მუქარისა და შანტაჟის საფრთხესაც უქმნიან.

თუ გასული არჩევნების დროს ეს სხვაგვარი სულისკვეთება იმითაც იყო გამოწვეული, რომ არსებობდა ერთი საერთო მიზანი — ჩვენ უნდა დავამარცხოთ კომუნისტები — დღეს ეს დასამარცხებელი „საერთო მტერი" აღარ არსებობს, დღეს ყველას „თავისი" მტერი ჰყავს, ყველა მის დამარცხებას ესწრაფვის და, სამწუხაროდ, აღარც მიზანი — ჩვენ უნდა გადავარჩინოთ ქვეყანა, — არის მთლად საერთო.

რას იზამს ამომრჩეველი, რომელსაც აშინებენ, ემუქრებიან, ატერორებენ — არ შეშინდება და გამოხატავს თავის ნებას, თუ შეეშინდება და ლოკოკინასავით ნიჟარაში შეიმალება?

და თუ ტრადიციულად საარჩევნო კომისიების წინაშე იდგა (ყოველ შემთხვევაში უნდა იდგეს) ამომრჩევლის ნების დაცვის ამოცანა, — არ დაეშვა ბიულეტენების გაყალბება და ასე შემდეგ, — ამჟამად დღის წესრიგში თავად ამომრჩევლის დაცვის საკითხი დგება.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაიწყო ადგილობრივი საარჩევნო ოლქების თავმჯდომარეთა ანგარიშების მოსმენა, თუმცა ზუსტი სურათის გადმოცემა თითქმის შეუძლებელია, რადგან ზოგიერთ რეგიონში სიტუაცია არათუ რამდენიმე დღეში ერთხელ, არამედ დღეში რამდენიმეჯერაც იცვლება. ძნელი სათქმელია, რა მდგომარეობა იქნება, მაგალითისთვის, სენაკში, მარტვილში, ხობში, აბაშაში, ფოთსა და სხვაგან, რადგან იმ დროისთვის, როცა ეს ნათქვამი მკითხველამდე მიაღწევს, სიტუაცია შეიძლება რადიკალურად შეცვლილიც იყოს.

და მაინც ამჟამინდელი მონაცემებით:

სენაკი: საარჩევნო კამპანიის გააქტიურებასთან ერთად ბანდიტური ჯგუფებიც გააქტიურდნენ. მათი მიზანია, ხელი შეუშალონ არჩევნების გამართვას. ბოლო დღეებში ისინი თავს დაესხნენ საცხოვრებელ სახლს, რომელშიც რაიონის გამგებელი ცხოვრობს და ააფეთქეს.

ეს ცნობა ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომას მხედარ ჩარაიამ მიაწოდა; ორიოდე დღის შემდეგ კი ტელეფონით შევიტყვეთ, რომ სენაკში კვლავ მოხდა შეტაკება. გამთენიისას ორასამდე შეიარაღებული კაცი თავს დაესხა რაიონის გამგეობის შენობას, გახსნეს ცეცხლი. მალე გაირკვა, რომ მათ ცეცხლი ცარიელი შენობისთვის გაუხსნიათ, რადგან გამგეობა თეატრის შენობაში ყოფილა გადასული, ამის შემდეგ მათ ტყვია თეატრის შენობასაც დაუშინეს. ასე რომ, დაარბიეს სენაკის სახელმწიფო თეატრის შენობა, საჭადრაკო კლუბი, გამგეობის შენობა, თითქმის მთელი ქალაქი. არავინ იცის, კიდევ რა მოხდებოდა, დროზე რომ არ მოხმარებოდნენ ხობელები.

ამ დროს სენაკის შტაბის უფროსი ბატონი თამაზ ნინუა თბილისში იმყოფებოდა. თავდამსხმელთაგან დაიღუპა 5 კაცი, ტყვედ აყვანილია 4. შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებიდანაც არიან დაჭრილები.

ხობის კომენდანტის ელგუჯა ბუცხრიკიძის თქმით, თავდამსხმელები ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, გალის მკვიდრნი არიან.

— შეგონება მათზე არ ჭრის, დღეს გარდატეხა მოხდა, უსასტიკესი ბრძოლა იქნება მათ წინააღმდეგ, — თქვა ბატონმა ელგუჯამ.

კომისიამ მოისმინა საკითხიც, თუ როგორ ემზადებიან არჩევნებისთვის **ზესტაფონის**, **მარნეულის**, **წინოწმინდის**, **სამტრედიის** და სხვა რაიონების საარჩევნო ოლქებში. ბევრგან მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

იქვე, საარჩევნო კომისიაში, გავესაუბრეთ **დუშეთის** საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი წიკლაურს.

— დუშეთი მზად არის არჩევნებისთვის. — პასუხი ლაკონურია.

საარჩევნო კომისია განაგრძობს მუშაობას, ზოგიერთი პროცესუალური საკითხის განხილვას.

მე კი ერთი წლის წინანდელი შემთხვევა მსურს გავიხსენო: პროფესორმა ნოდარ სარჯველაძემ საგაზეთო წერილის მზადებისას მითხრა: „მხოლოდ თავისუფალ ადამიანს, პიროვნებას შეუძლია გააკეთოს არჩევანი. დანარჩენები სხვის არჩევანს ირჩევენ. ჩვენთან, უბრალოდ, ერთმა კაცმა 87 პროცენტს აარჩევინა თავი"...

როგორი იქნება ამჟამინდელი არჩევნები? გვეყოფა შინაგანი თავისუფლება და ვიქნებით ამომრჩევლები, თუ ბოღმა გადაგვძალავს და ვიქნებით განაწყენებული შურისმაძიებლები? ვინ რას აირჩევს: ვის — არეულობა აძლევს ხელს, ვის — ომი, ვის — მშვიდობა, ვის ლეგიტიმური ხელისუფლება, ვის — მღვრიე წყალი თევზის საჭერად, ვის — ქვეყანა და ვის — ზვიადი...

ვინ რას ავირჩევთ?

ᲖᲐᲘᲠᲐ ᲩᲝᲛᲐᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ცენტრალური საარჩევნო კომისია მუშაობს.

ᲛᲔᲢᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲦᲐᲠᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია დაძაბულ ფაზაში შევიდა. რადიოთი, ტელევიზიისა და პრესის ინტენსიურად იყენებენ პარტიები და ბლოკები თავიანთი წინასაარჩევნო პროგრამების პროპაგანდისთვის.

ჩვენი სახელმწიფოს ღრმა ეკონომიკურ კრიზისს, ფასების კატასტროფულ ზრდას, მოსახლეობის უმრავლესობის გაჭირვებას და სიღატაკეს ზოგიერთი პარტია და დეპუტატობის კანდიდატი თავისი ვიწროპარტიული და პირადი ინტერესებისათვის იყენებს, პოპულისტური ლოზუნგებით მიმართავს ამომრჩევლებს, ქვეყნის გადარჩენის ცრუ მეცნიერულ რეცეპტებს იძლევა.

მათ განსაკუთრებით მომგებიანად მიაჩნიათ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის საკითხი და, ისევე როგორც 1917 წელს ბოლშევიკები, ისინი ამჟამად პოლიტიკური დესტაბილიზაციით და ეკონომიკური კრიზისით გაწამებულ მოსახლეობას ჰპირდებიან ოქროს მთებს, მთელი სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ დარიგებას-განაწილებას, ამ გზით სოციალური თანასწორობის მიღწევას და ნათელ მომავალს.

თავიანთი „იდეების" მეტი დამაჯერებლობისთვის ეს პარტიები და დეპუტატობის კანდიდატები ქმნიან მტრის ხატს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის და მისი ხელმძღვანელობის სახით, რომლებმაც შეადგინეს პრივატიზაციის თითქოსდა ანტიხალხური პროგრამა და მშრომელთა მიერ 70 წლის მანძილზე შექმნილ დოვლათს უკვე მყიდიან მაფიაზე. უფრო მეტიც, ზოგიერთი დემაგოგი ტელეეკრანიდან იმასაც კი აცხადებს, თითქოს მისი ენერგიული ჩარევის შედეგად კომიტეტმა შეაჩერა ეს გაყიდვა.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი აცხადებს:

სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის პროგრამა შემუშავებულია შესაბამისი კანონის საფუძველზე, რომელიც შარშან მიიღო უზენაესმა საბჭომ, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ქვეყნების გამოცდილებაც. ეს პროგრამა მოიწონა კომიტეტთან არსებულმა საკონსულტაციო საბჭომ, რომელშიც გაერთიანებული არიან სხვადასხვა პარტიისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები. პროგრამა დაამტკიცეს მთავრობამ და სახელმწიფო საბჭომ. მასში გათვალისწინებულია მოსახლეობისთვის სერტიფიკატების დარიგებაც, შრომითი კოლექტივების, საზოგადოების ყველა ფენის, მთელი მოსახლეობის არა მხოლოდ დღევანდელი, არამედ ხვალინდელი ინტერესებიც.

ამჟამად კომიტეტი ამთავრებს ნორმატიულ უზრუნველყოფაზე მუშაობას, რომელიც საჭიროა პრივატიზაციის პროცესის დასაწყებად. შედგენილია პირველი რიგის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაც, რომლის ნაწილიც უკვე გამოქვეყნდა პრესაში.

პარლამენტის არჩევნებამდე რამდენიმე დღე დარჩა. ჩვენ დავამზადებთ მას მთელ აუცილებელ დოკუმენტაციას. მხოლოდ პარლამენტს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის არსებული კანონი და პროგრამა.

ჩვენ საქვეყნოდ ვაცხადებთ: საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტს ჯერ არც ერთი სახელმწიფო საწარმო და ობიექტი არ გაუყიდია. საპრივატიზაციო კომისიების შედგენა ჯერ არ დამთავრებულა და, ცხადია, გაყიდვა პარლამენტის არჩევნებამდე ვერც მოესწრება.

ვთხოვთ პარტიებსა და დეპუტატობის კანდიდატებს, რომლებიც პრივატიზაციის მთავრობისეული პროგრამის კრიტიკაზე აგებენ თავიანთ წინასაარჩევნო კამპანიას, დაანებონ თავი ჩვენს შესახებ სიცრუის გავრცელებას, შეწყვიტონ დემაგოგია და სპეკულაცია აღნიშნული პროგრამის ირგვლივ, ნუ აღიზიანებენ ომებით, ბანდიტიზმით და სილატაკით ისედაც გაწამებულ მოსახლეობას და ნუ ჰპირდებიან მას ისეთ რამეს, რისი განხორციელებაც შეუძლებელია. ეს დამტკიცებულია მრავალ ქვეყანაში პრივატიზაციის განხორციელების პრაქტიკით.

ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს მთელ მოსახლეობას: დილეტანტებმა, დემაგოგებმა და პოპულისტებმა პოლიტიკას უკვე შეეწირეს მსხვერპლად ეკონომიკა, ქვეყანა უფსკრულში გადაჩეხეს, საიდან ამოსვლის იოლი გზა არ არსებობს. კარგად დაუკვირდით, ვინ რას გპირდებათ. სწორად შეაფასეთ მათი საქციელი. მეტი შეცდომის დაშვების უფლება აღარა გვაქვს.

ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲗ!

გუშინ რედაქციაში სოხუმიდან დარეკა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატმა ნუგზარ მგალობლიშვილმა:

— გაგრაში მომხდარი მოვლენების ფონზე ჩემი თხოვნა შეიძლება უმნიშვნელოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ, გთხოვთ, ინფორმაციას, რომელიც თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა*, დაუმატოთ ერთი მომენტი. ეს საკითხის არსის გარკვევისთვის საჭირო უნდა იყოს, მგონი.

რუსეთის პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების წარმომადგენლები, სამწუხაროდ, აფხაზეთის პრობლემებზე ცალმხრივად არიან ინფორმირებული, რადგან ცნობებს ტენდენციურად განწყობილი წყაროები აწვდიან.

მაგალითად, მათ ჩვენთან შეხვედრამდე არ იცოდნენ, რომ აფხაზეთის კონფლიქტი არ არის კონფლიქტი აფხაზეთისა და საქართველოს შორის, რომ მისი მიზეზები ამ რეგიონის ადგილობრივი ხელმძღვანელობის ანტიხალხური, სეპარატისტული პოლიტიკითაა განპირობებული.

მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ იმაზე, რომ აფხაზეთში სადღეისოდ ორი უზენაესი საბჭოა. ერთი — გუდაუთაში და ნაწილობრივ მოსკოვშია, მეორე — სოხუმში, და რომ პრაქტიკულად სწორედ ეს უკანასკნელი აკონტროლებს აფხაზეთის ტერიტორიას.

ეს მომენტი ფრიად ნიშანდობლივია: ერთი მხრივ, კონფლიქტი აფხაზეთში, როგორც შიდარეგიონული პრობლემა, და მეორე მხრივ, რუსეთის პარლამენტის ანტიდემოკრატიული დადგენილების მიღება ამ კონფლიქტის თაობაზე, აშკარა ჩარევა სხვის შინაურ საქმეებში. ეს, ჩემი აზრით, უდაოდ ადასტურებს, რომ საქართველოს წინააღმდეგ დიდი შეთქმულება გამიზნულად და მეთოდურად მზადდებოდა. ის, რაც დღეს აფხაზეთში ხდება, უკვე პრაქტიკულად განხორციელებული შეთქმულებაა, რუსეთის რეაქციული ძალების შეიარაღებული აგრესიაა ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ.

ჩვენ, ყველა ჭეშმარიტი პატრიოტი აქ, წინა ხაზზე ვართ და ბოლომდე ვიბრძოლებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, დემოკრატიის გამარჯვებისთვის.

---

* იგულისხმება ჩვენი გაზეთის ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული ინფორმაცია მოსკოვიდან 28 სექტემბერს რუსეთის ეროვნებათა სახელმწიფო კომიტეტისა და გაზეთ „როსიისკიე ვესტის" ინიციატივით გამართული შეხვედრის შესახებ აფხაზეთის კონფლიქტის თაობაზე.

ᲐᲛ ᲢᲠᲘᲐᲚ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲖᲔ

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐᲡ ᲒᲐᲣᲫᲚᲔᲑᲡ

ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘᲐ, მაგრამ რეალობაა: საქართველო-რუსეთის მრავალსაუკუნოვან ისტორიას არ ახსოვს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ისეთი დაძაბვა და გამწვავება, როგორც მიმდინარე წელს სულ რაღაც ორ თვეში — ივნისსა და ივლისში მოხდა. ორიოდეჯერ სამხედრო შეტაკების აშკარა საფრთხე გამოჩნდა და ეს მაშინ, როცა რუსეთში სახელმწიფო სათავეში დემოკრატიული ძალები აღმოჩნდა.

ნიშანდობლივია, რომ ეთნოკონფლიქტების გადაწყვეტის პრაქტიკული მექანიზმის შექმნას საფუძველი ჩაეყარა ცხინვალსა და ყაზბეგში საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლების შეხვედრაზე, ხოლო შემდგომ თვისებრივი განვითარება პოვა დაგომისში.

სამწუხაროდ, ცხინვალსა და ყაზბეგში მიღწეულ შეთანხმებებს რეალური შედეგი არ მოჰყოლია. რუსეთის კონსერვატიულმა ძალებმა, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის პარლამენტმა, ცხინვალის კონფლიქტი საქართველოს მიმართ უხეში იმპერიული დიქტატისა და მუქარის საბაბად გამოიყენეს. ამან, როგორც ცნობილია, მოვლენების განვითარებას საქართველოს რესპუბლიკისათვის და თვით რუსეთისათვის უკიდურესად საშიში ხასიათი მიანიჭა. დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია, რუსეთის ფაქტორის გათვალისწინება გარდაუვალი აღმოჩნდა. საჭირო გახდა დაუყოვნებლივი ქმედითი ღონისძიებების განხორციელება — აგრესიული გამოხდომების ალაგმვა და გონიერებისაკენ მოწოდება, ცხინვალის რეგიონში ცეცხლის შეწყვეტა და სისხლისღვრის შეჩერება. პოლიტიკური ინტრიგების შედეგად თავსმოხვეული ომი უნდა შეწყვეტილიყო.

კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებაში რუსეთის დემოკრატიული ხელმძღვანელობის კონსტრუქციულ პოზიციას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. რუსეთის იმპერიულად მოაზროვნე რეაქციულ პოლიტიკურ ძალებს კი ცხინვალის (ახლა აფხაზეთისაც) კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება ხელს არ აძლევდა, სურდათ მუდმივი ზემოქმედების საბაბად შენარჩუნება. ამდენად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა დამოუკიდებელი საქართველოსა და დემოკრატიული რუსეთის შეთანხმებულ პოზიციასა და მოქმედებას თვით რუსეთისათვისაც. რუსეთი, რომელიც დღეს გზაჯვარედინზეა — განაგრძოს წინსვლა დემოკრატიული გზით თუ დაუბრუნდეს იმპერიული პოლიტიკის ტრადიციებს, ან აირჩიოს შუალედური „მესამე გზა". სწორედ იმპერიული პოლიტიკისაკენ დაბრუნების აშკარა გამოვლინებაა რუსეთ-უკრაინის, რუსეთ-მოლდოვის და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, რომელიც ივნისშიც სამხედრო შეტაკების ზღვარს მიადგა (და ახლაც უკიდურესად დაიძაბა რუსეთის რეაქციული ძალების ამოქმედებით). დაუყოვნებლივი, პრინციპული, დამაჯერებელი და გაბედული პოლიტიკური და დიპლომატიური აქციები რომ არა, საქმე დიდი სისხლისღვრისაკენ მიდიოდა, რაც უმძიმესი იქნებოდა ჩვენი მცირერიცხოვანი რესპუბლიკისათვის.

უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტმა და მისი პოლიტიკისადმი ნდობამ. ყოველივე ამან რუსეთში ხელფეხი შეუკრა იმპერიული ზრახვების მოტრფიალე წრეებს, რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ჩრდილოეთ ამერიკიდან მოსკოვს დაბრუნებისთანავე გამოიჩინა პირადი ინიციატივა და დიდი დაინტერესება რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობის განსამუხტავად. ამის ნათელი დადასტურება იყო დაგომისში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის და რუსეთის პრეზიდენტის შეხვედრა, რომელსაც ხელი ვერ შეუშალა სახელმწიფო გადატრიალების ავანტიურისტულმა ცდამ თბილისში. როგორც ცნობილია, დაგომისში ედუარდ შევარდნაძემ და ბორის ელცინმა განიხილეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მთელი კომპლექსი. განაცხადეს, რომ საქართველომ და რუსეთმა უნდა იცხოვრონ და კიდეც ცხოვრობენ, როგორც კეთილი მეზობლები და პატიოსანი პარტნიორები, სცნობენ ერთმანეთის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების ურღვევობას. დაგომისის კომუნიკეში ჩამოყალიბებულია საქართველო-რუსეთის მეგობრული ურთიერთობის, მჭიდრო თანამშრომლობის და პარტნიორობის თვისებრივად ახლებური ფუძემდებელი პრინციპები, რომლებიც, როგორც ბ-მა ედუარდ შევარდნაძემ თქვა, აისახება მომავალ „დიდ ხელშეკრულებაში". რაც შეეხება დაგომისში ხელმოწერილ შეთანხმებას ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ, იგი ეფუძნება ცხინვალში და ყაზბეგში მიღწეულ მორიგებებს. იგი მისაბაძი მაგალითი გახდა ეთნოკონფლიქტების გადაწყვეტის მექანიზმის შესაქმნელად დნესტრისპირეთში და ევროპისათვის. დღეს რეაქციული ძალები რუსეთის პარლამენტში და ისინი, ვისაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი უწოდებს „ომის პარტიის" წარმომადგენლებს, იერიშზე გადავიდნენ რუსეთის დემოკრატიული ხელმძღვანელების წინააღმდეგ. ამის აშკარა გამოვლინებაა რუსეთის პარლამენტის მიერ ფაქტობრივი რევიზია 3 სექტემბერს მოსკოვში რუსეთის პრეზიდენტის ბ. ელცინისა და საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. შევარდნაძის ხელმოწერილი აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების დოკუმენტებისა. რუსეთის პარლამენტის ეს ნაბიჯი იმპერიული პოლიტიკის აშკარა და დიდად საშიში რეციდივია. იგი შემადგენელი ნაწილია რუსეთის პარლამენტში რეაქციული ძალების რუსეთის პრეზიდენტისა და მთავრობის წინააღმდეგ მძლავრი გამოსვლის.

რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა კვლავ დაადასტურა, რომ იგი მხარს უჭერს და ერთგულია 3 სექტემბერს ხელმოწერილი დოკუმენტებისა. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ რუსეთის პარლამენტმა თავისი მოქმედებით მძიმე მორალურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში ჩააყენა რუსეთის პრეზიდენტი. მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა და გაამწვავა ბატონ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ განხორციელებულმა ტერორისტულმა აქციის ცდამ.

სრული დარწმუნებით უნდა ითქვას, რომ რუსეთის პარლამენტის პოზიცია დიამეტრალურად ეწინააღმდეგება რუსეთის ჭეშმარიტ ინტერესებს,

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.

ᲕᲘᲜ ᲕᲘᲡ ᲐᲠᲥᲛᲔᲕᲡ ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲔᲡ?!

ᲜᲘᲜᲝ ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲦᲘᲐ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ ᲒᲠᲝᲖᲜᲝᲨᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ Ე. Წ. ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡ

ეს ბოლო ხანია ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთა, განსაკუთრებით თბილისელ მოქალაქეთა ერთი ნაწილი თავისი საცხოვრებელი ბინების საფოსტო ყუთებში პოულობს რემინგტონზე გადაბეჭდილ ფურცლებს. ეს ის მოქალაქენი არიან, „საქართველოს კანონიერი ხელისუფლების მოღალატეთა კარტოთეკაში" რომ შეუტანია ე. წ. ეროვნული თავდაცვის შტაბის საინფორმაციო სამსახურს. ჯერჯერობით კარტოთეკაში 66 გვარია მოხსენიებული, მაგრამ როგორც მისი შემდგენელნი „გვაიმედებენ", ეს ნუსხა გაიზრდება (იზრდება კიდეც.).

საფოსტო ყუთებში ჩაგდებულ ამ ბარათებში ადრესატებს წაყენებული აქვთ კონკრეტული „ბრალდებები", რომელთა გათვალისწინებითაც არიან ისინი მოღალატეებად მიჩნეულნი.

დღეს ვაქვეყნებთ სწორედ ერთ-ერთი „მოღალატის" ღია წერილს ზემოაღნიშნული შტაბის საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლებისადმი, რომელიც ავტორმა რედაქციაში მოიტანა.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ დღის წინ ჩემს საფოსტო ყუთში აღმოვაჩინე ამონაჭერი გაზეთიდან, რომელშიც გამოქვეყნებულია „კანონიერი ხელისუფლების მოღალატეთა კარტოთეკა". მაქვს პატივი, ამ სიაში ერთადერთ ქალად ვიხსენიებოდე. აი, რა ბრალდებას მიყენებთ თქვენ: „ნინო მირიანაშვილი, კასპის რაიონის პრეფექტი, რკონში კიტოვანის დაბანაკების დროიდან ეხმარებოდა და ამარაგებდა პუტჩისტებს. გადავიდა მტრის მხარეზე, მონაწილეობდა პუტჩში".

პირველი, რაც სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, არის ის, რომ ხუთმილიონიან საქართველოში თქვენს მიერ შედგენილი კარტოთეკის მიხედვით ერთადერთი მოღალატე ქალი ვარ. სამწუხაროდ, ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის არც თუ მცირე რაოდენობით სამშობლოს მოღალატე ქალთა არსებობა, რომელთაც დავიწყებიათ, რომ ოდითგან პიროვნებები ეწირებოდნენ სამშობლოს, საკუთარი სიცოცხლე მიჰქონდათ მის სამსხვერპლოზე და მართლა მოღალატის გარდა არავინ სწირავდა სამშობლოს საკუთარ ამბიციებს, რომელთაც დავიწყებიათ, რომ ქალის მანდილი ოდითგან იყო მოქიშპეთა დაზავების და არა წაქეზების საშუალება. დავიწყებიათ, რომ ქალის კდემამოსილება, ზრდილობა, მეოჯახეობა და ერთგულება იყო ის ძალა, რომელიც ქართველ მამაკაცებს ხშირად შეუძლებელს აკეთებინებდა. შევახსენებთ, რომ ქალთა გარკვეულ ნაწილს სულაც არ ეთაკილებოდა თავი მოეწონებინა იმით, რომ უჩქმიტა უზენაესი საბჭოს დეპუტატს ნ. ნათაძეს (ბოდიშს ვუხდი ბატონ ნოდარს ამ მაგალითის მოხმობისთვის). ეთაკილებოდათ კი არა, გმირობადაც მიაჩნდათ აგრეთვე უზენაესი საბჭოს დეპუტატის გია ხავთასისთვის ტანისამოსის შემოხევა და უშვერი სიტყვებით ლანძღვა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალ მათგანს იგი შვილიშვილად თუ არა, შვილად ნამდვილად ერგებოდა.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

თქვენი ინფორმაციული ბრალდების მიხედვით (...ამარაგებდა პუტჩისტებს. გადავიდა მტრის მხარეზე. მონაწილეობდა პუტჩში) ნამდვილი დამნაშავე ვარ, რისთვისაც დახვრეტაც კი მცირე სასჯელად მოეჩვენება თქვენებურად მოაზროვნე კაცს.

რამდენადაც ვხედავ, თქვენი ე. წ. ეროვნული თავდაცვის შტაბის საინფორმაციო სამსახური სუკის მსგავსი ორგანოა, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი სფეროა „არასაიმედო" ხალხზე ინფორმაციის შეკრება. გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს მაგალითზე სრულებით ვერ იმსახურებთ შექებას. ვინაიდან, ჩემდამი წაყენებული ბრალდების პირველივე წინადადება არასწორია. თქვენ ბრძანებთ, რომ მე, რკონში კიტოვანის დაბანაკების შემდეგ ვამარაგებდი პუტჩისტებს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ თქვენ ფრიად ზერელე ჭორის დონეზე მოარული ინფორმაციით სარგებლობთ.

არა, ბატონებო, მე თ. კიტოვანის რკონში დაბანაკების შემდეგ კი არ ვამარაგებდი პუტჩისტებს, არამედ გვარდია მე ჩამოვიყვანე რკონის ხეობაში. და აი, როგორ მოხდა ეს.

19 აგვისტოს სამსახურში მისულმა შევიტყვე რუსეთში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების (გკჩპ-ს შექმნის) შესახებ, სიტუაციაში გასარკვევად უზენაეს საბჭოს მივაშურე. თან მახლდა კასპის შ/ს რაიგანყოფილების უფროსი თემურ დვალიშვილი. უზენაეს საბჭოში სრული სიმშვიდე სუფევდა. მითხრეს, დავბრუნებულიყავი უკან და თუ საჭირო იქნებოდა რაიმე ღონისძიების მიღება, თვითონ დამიკავშირდებოდნენ. ცოტა არ იყოს, გამაკვირვა იქ გამეფებულმა სიმშვიდემ (როდესაც ჭორის დონეზე მიიღებდნენ ინფორმაციას, ირაკლი წერეთელი ან გია ჭანტურია უნდა დაგვესხას თავზე, იქაურობა ფუტკრის სკას დაემსგავსებოდა ხოლმე, ახლა კი თითქოს არაფერი მომხდარიყოს).

მე და თემურ დვალიშვილს, რომლის გვარიც ამშვენებს კარტოთეკას, კარგად გვქონდა გაცნობიერებული, რომ თუ გკჩპ გაიმარჯვებდა, დამოუკიდებლობის გზაზე მდგარ საქართველოს კარგი დღე არ დაადგებოდა. ძირითადი დარტყმა კი მისი ახლად შექმნილი გვარდიის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. (იმ დროისთვის გვარდია 12000 კაცს ითვლიდა). განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ გვარდიის ის ოფიცრები, რომლებმაც თვითნებურად მიატოვეს საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიგები. ამიტომ ჩვენ მივაშურეთ ეროვნული გვარდიის სარდლობას, რათა გაგვეგო, თუ რას აპირებდნენ ისინი.

გვარდიის ევაკუაცია დაწყებული იყო. ისინი მუცოს ხეობაში იხიზნებოდნენ. მე და თ. დვალიშვილმა დავუსაბუთეთ ბატონ თენგიზ კიტოვანს, რომ გაცილებით მოსახერხებელი და უსაფრთხო იყო გვარდიის ბუნებრივად საუკეთესოდ დაცულ რკონის ხეობაში გახიზვნა. ჩვენს წინადადებას ბატონი თენგიზი თავდაპირველად თავშეკავებით შეხვდა, რადგან კარგად იცოდა, რომ პრეზიდენტი, რომელსაც გვარდია გა-

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-4 ᲒᲕ.).

ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ

ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲞᲐᲞᲐᲕᲐ,
საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი

ᲫᲜᲔᲚᲘᲐ დღეს გადაჭარბებით შევაფასოთ დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის შეიარაღებული ძალების მნიშვნელობა. საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმია ახლა ყალიბდება, მაგრამ, როგორც შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა მდგომარეობამ დაგვარწმუნა, მისი შექმნის პროცესი უნდა დაჩქარდეს.

ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ჩამოყალიბების გზაზე ჩვენი არმია ბევრი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. განსაკუთრებით გვაფერხებს ოფიცრებით სამხედრო ნაწილების დაკომპლექტება. რამდენადაც ცნობილია, ამჟამად რუსეთის არმიაში 1700-ზე მეტი ქართველი ოფიცერი მსახურობს. აქედან მარტო ამიერკავკასიის ოლქის ჯარებში და საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებულ სამხედრო ნაწილებში სამხედრო სამსახურს 450 ქართველი ოფიცერი გადის.

როგორც ირკვევა, ქართულ არმიაში მათ გადმოსვლას აფერხებს რუსეთის არმიასთან შედარებით ჩვენი ძალზე დაბალი ხელფასები და ბინებით დაკმაყოფილების ცუდი პირობები, მაგრამ რატომღაც ისინი არ ამჟღავნებენ პატრიოტიზმს და არ უდგებიან მხარში ქართველ ხალხს გასაჭირის დროს. არადა, უბრალოდ გასაჭირი კი არა, ომია გაჩაღებული და გადამთიელები სამშობლოს გვედავებიან. უცხო ქვეყნის არმიაში მომსახურე ოფიცრები საქართველოს პარლამენტის არჩევნებშიც ვერ მიიღებენ მონაწილეობას, როგორც ეს დებულებით არის გათვალისწინებული.

ყოველივე ამის გამო, საინტერესოა, როგორ მოიქცევიან ეს ქართველი ოფიცრები, როდესაც პენსიის მისაღებად მოაშურებენ მშობლიურ ადგილებს და მოითხოვენ საქართველოს მოქალაქეობასა და ბინით დაკმაყოფილებას? ჩემი აზრით, ყველა ქართველი ოფიცერი, რომელიც ემსახურება რუსეთის არმიას, სასწრაფოდ უნდა გადმოვიდეს ჩვენთან და მიიღოს მონაწილეობა საყოველთაო არჩევნებში, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შექმნასა და გაძლიერებაში, გარეშე მტრებისაგან დაიცვას მშობლიური მიწა-წყალი, ახლა, როდესაც საქართველოს ომი აქვს და კადრის ახალგაზრდა ოფიცერი სპეციალისტები აკლია, მათი განდგომა ღალატის ტოლფასია.

წვევამდელთა და რეზერვისტთა გაწვევის საკითხებშიც ძალიან ბევრი სიძნელეა. უმთავრესად, ეს არის წვევამდელთა გამოცხადება რაიონებისა და ქალაქების სამხედრო განყოფილებებში გამწვევი კომისიების გასავლელად. ძალიან ბევრი ახალგაზრდა თავს არიდებს სავალდებულო სამხედრო სამსახურს. აქამდე ჩვენ ვერიდებოდით მოქმედი კანონებისა და სისხლის სამართლის კოდექსის მთელი სიმკაცრით გამოყენებას, მაგრამ ახლა ადგილობრივი სამხედრო განყოფილებები იძულებული ხდებიან მიიღონ ზომები, რათა ყველა წვევამდელი, რომელიც თავს აარიდებს სავალდებულო სამხედრო სამსახურს მშობლიურ, ქართულ არმიაში, მიეცეს პასუხისგებაში და გასამართლდეს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე მუხლის თანახმად და მიესაჯოს ერთიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ცუდად იმუშავეს რესპუბლიკის რაიონების გამწვევ კომისიაში ექიმმა-სპეციალისტებმა. წვევამდელები ზერელედ გაისინჯნენ და სამხედრო ნაწილებში გაიგზავნა ავადმყოფი ახალწვეულები, რამაც საბრძოლო მომზადების საქმეში დიდი სიძნელეები შექმნა. სამხედრო განყოფილებების უფროსებმა კიდევ ერთხელ უნდა შეამოწმონ საექიმო კომისიის შემადგენლობა და საჭიროების შემთხვევაში მოიწვიონ ექიმი სპეციალისტები. გასაკვირია, მაგრამ, საუბედუროდ, ქართველმა რეზერვისტებმაც ვერ გამოიჩინეს სიმტკიცე და ერთგულება ქართველი ერისა და სამშობლოს წინაშე. აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით ბევრმა ქართველმა და არაქართველმაც გამოთქვა სურვილი როგორც რეზერვისტს, მოხალისედ ემსახურა ქართული არმიის რიგებში. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შეასრულა მათი თხოვნა, რამდენიმე სამხედრო ნაწილი დაკომპლექტდა რეზერვისტებით და გაიგზავნა საბრძოლო იარაღით აფხაზეთის ტერიტორიაზე, მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, რეზერვისტთა 60 პროცენტზე მეტი ფაქტობრივად გამოიქცა ბრძოლის ველიდან, მიატოვა თანამებრძოლები და თბილისში დაბრუნდა, ე. ი. თვითნებურად დატოვა სამხედრო ნაწილი და სამხედრო სამსახურის ადგილი. ეს კი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 261-ე და 262-ე მუხლების თანახმად, ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2-დან 7 წლამდე. ომიანობის ან საბრძოლო ვითარებაში კი სასჯელი განსაზღვრულია 5-დან 10 წლამდე.

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, თავდაცვის სამინისტროს დიდად უჭირს ჯარების დაბინავება. არა გვაქვს კეთილმოწყობილი შენობები. ეს მაშინ, როდესაც მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მესვეურები ყიდიან სამხედრო ობიექტებსა და შენობა-ნაგებობებს, რომელთაც სხვადასხვა ასოციაციები, ფირმები და კოოპერატივები თავდაცვის სამინისტროსთან შეუთანხმებლად ყიდულობენ. დღეისათვის 40-ზე მეტი ობიექტია უკანონოდ გაყიდული და გადაცემული სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის. ჯერჯერობით გაურკვეველია, ვისი გადაწყვეტილებით ხდება ასეთი უკანონობა. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შენობა-ნაგებობანი და ობიექტები, როგორც წესი, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს უნდა გადმოეცეს. მეტსაც ვიტყვი, თავდაცვის სამინისტროსაც არა აქვს თავისი კუთვნილი შენობა. იგი დაბინავებულია ყოფილი სამხედრო კომისარიატის შენობაში, რაც ვერ აკმაყოფილებს სამინისტროს სამმართველოთა მინიმალურ მოთხოვნებს. და ამ დროს თბილისში ძალიან ბევრი უმოქმედო შენობაა, განსაკუთრებით ყოფილი საკავშირო დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვა. თუ რესპუბლიკას თავდაცვის სამინისტრო სჭირდება, მაშინ მას სათანადო შენობა-ნაგებობანი და ნორმალური მუშაობის საშუალებაც უნდა ჰქონდეს.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს საფუძვლიანად არ განუხილავს არმიის მშენებლობის საკითხი. საყურადღებოა ისიც, რომ სახელმწიფო საბჭოში არ არიან ქართველ ოფიცერთა კორპუსის წარმომადგენლები, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო ექსპერტები და სპეციალისტები, რომლებიც გამოთქვამენ თავიანთ კომპეტენტურ მოსაზრებას სამხედრო მშენებლობის საკითხებზე, როგორც ჩანს, ისინი არც ახალ პარლამენტში აირჩევიან, ვინაიდან, დებულების თანახმად, პარლამენტში არჩეულმა ოფიცრებმა არმიაში სამსახური უნდა შეწყვიტონ. ამავე დროს რესპუბლიკის ინტელიგენციის საკმაოდ ბევრი წარმომადგენელი, რომლებიც დეპუტატები გახდებიან, თავის ძირითად შემოქმედებას არ წყვეტს.

ქართველი ოფიცრები არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში არ შედიან. მაგრამ მათ არ შეუძლიათ განზე იდგნენ, როდესაც წყდება რესპუბლიკის სახელმწიფო წყობის, სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის, ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის საზღვრების ხელშეუხებლობის და სხვა საკითხები.

ქართული არმიისადმი უყურადღებობა იმითაც გამოიხატება, რომ დღემდე ჩაუცმელია. მაღალი რანგის ოფიცრებსა და რიგითებს ერთნაირი სამხედრო ფორმა აცვიათ. ეს ის ფორმაა, რომლითაც შემოსილია ყველა კანონიერი თუ უკანონო სამხედრო და არასამხედრო ფორმირება. გვეუხერხულება კიდეც ქალაქის ქუჩებსა და სხვა ადგილებში ასეთი ფორმით გამოჩენა.

საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის შექმნის პრობლემებმა განსაკუთრებით იჩინა თავი აფხაზეთში დატრიალებული ამბების დროს, სადაც მთელი რიგი სამხედრო ნაწილების მოხალისე რეზერვისტებით შევსება მოგვიხდა. დარწმუნებული ვარ, იმ რეგიონში ჩვენი არმიის კარგად შეიარაღებული, გაწვრთნილი ქვედანაყოფები რომ მდგარიყვნენ, როგორც ეს გეგმითაა გათვალისწინებული, ქართველთა და აფხაზთა სისხლი არ დაიღვრებოდა.

(დასასრული)

[illegible] შეცდა, იმ საქციელს არ გვაპატიებდა. ჩვენში [illegible] გვარდიის კასპის რაიონში, რკონის სოფელში აღმოჩნდა.

მიმაჩნია, რომ თუ თქვენი პოზიციიდან შევხედავთ, ჩემს მიერ გვარდიის რკონში ჩამოყვანა უფრო დიდი ღალატი და დანაშაულია, ვიდრე რკონში დაბანაკების შემდეგ მისი მომარაგება. ისე რომ, ე. წ. ეროვნული თავდაცვის შტაბის სამსახურს სიბეჯითეს ვერ შევუქებ.

განვიხილოთ ჩემდამი წაყენებული მეორე ბრალდება: „...გადავიდა მტრის მხარეზე“. პირველ ყოვლისა გავარკვიოთ, თუ ვინ არის მტერი, რომლის მხარეზეც მე გადავედი. თქვენი ინფორმაციის მიხედვით მტერი არის გვარდია, 17-18 წლის ახალწვეულები, მათზე ოდნავ უფროსი ასაკის მოხალისეები, მათი აღმზრდელი ოფიცრები და გვარდიის სარდალი ბ-ნი თ. კიტოვანი, რომელსაც გვერდში ედგა ყოფილი პრემიერი ბ-ნი თენგიზ სიგუა.

მინდა გკითხოთ თქვენ, „საქართველოს კანონიერი ხელისუფლების სუკის“ წარმომადგენლებო, ვინ ან რამ აიძულა ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი თენგიზ სიგუა გამხდარიყო მტერი; ვინ ან რამ აიძულა გვარდიის სარდალი ბატონი თენგიზ კიტოვანი, რომელიც ყველა განსაცდელში გვერდში ედგა და იცავდა ზვიად გამსახურდიას, გამხდარიყო მტერი; ვინ ან რამ აიძულა მთავრობის სახლის წინ ორჯერ დაჭრილი შს მინისტრის მოადგილე ბ-ნი რომან გვენცაძე გამხდარიყო მტერი; ვინ ან რამ აიძულა პრეზიდენტყოფილის უახლოესი თანამებრძოლი ბ-ნი ვაჟა ადამია იარაღისთვის მოეკიდა ხელი?!

დნენ „ქალბატონი მინისტრის“ მკურნალობას და ხალი გონებით [illegible] შექმნილ მდგომარეობას? მათ დროულად შენიშნეს ზემოთ ჩამოთვლილი მინისტრების კომპეტენცია და არასახარბიელო რეპუტაცია.

თავის მართლება დავამთავრე. მინდა ერთი კითხვა დავსვა, იგი თქვენს მიერ შედგენილი კარიკატურის სათაურს შეეხება — საინტერესოა, ვის გულისხმობთ საქართველოს კანონიერ ხელისუფლებაში? არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ კანონიერი ხელისუფლების უდიდესმა ნაწილმა თავად თქვა უარი მოხსენიებულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე და გაემიჯნა მას. მეორე და განსაკუთრებით თვალსაჩინო ნაწილი უკვე ამშვენებს მოღალატეთა სიას (იმედს გაძლევთ, რომ სიის გაგრძელება იქნება). მაშ ვინღა შეადგენს საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას დღეს? თუ არ ვცდები, ესენი არიან ღრმად პატივცემული ბატონები: ბესარიონ გუგუშვილი, მერაბ კიკნაძე, გიორგი მარჯანიშვილი და ვინც განსაკუთრებით ამშვენებს კანონიერ ხელისუფლებას, ქალბატონი მშვენიერ ჭიჭილავა, იგივე მზია ხაფაროვა, იგივე მზია შერვაშიძე-ჩაჩბა! აფერუმ, საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას!

ე. წ. კანონიერი ხელისუფლების კიდევ ერთ „ღირსეულ“ წარმომადგენელზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება, რომელსაც დავიწყებია, რომ იმ დანაშაულთა ლომის წილი, რომელიც საქართველოში მოხდა, მის სინდისზეა.

გაკვირვებული მაქვს, რომ დაწყებულია საარჩევნო კამპანია და არ შეიძლება დეპუტატობის კანდიდატის დისკრედიტაცია, მაგრამ თუ რა სიკეთე მოუტანა საქართველოს მისმა დეპუტატობამ, ცნობილია, და ღმერთმა ნუ ძეს და შუადღისთვის უკვე გვარდიის ბანაკში ვიყავით.

ბატონებმა თენგიზ კიტოვანმა და აკაკი ასათიანმა ცალკე ისაუბრეს, შემდეგ თავი მოუყარეს გვარდიელებს. აკაკი ასათიანმა სიტყვით მიმართა გვარდიას: მან შეკრებილთ უთხრა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და პრეზიდენტს გადაწყვეტილი აქვთ შექმნან თავდაცვის სამინისტრო და მინისტრად თქვენი სარდალი გვინდაო. ამ ცნობას გვარდიელები მოწონების შეძახილებით შეხვდნენ. იქ მყოფთ დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა და გახარებულები დავიშალეთ. მე დავბრუნდი კასპში, ა. ასათიანი გაემგზავრა თბილისში.

მალე პრეზიდენტის მისაღებიდან დამირეკეს. თვითონ პრეზიდენტი დამელაპარაკა, აინტერესებდა მოლაპარაკების შედეგი. მე ვუთხარი, რომ აკაკი ასათიანის წინადადება გვარდიელებმა სიხარულით მიიღეს და, მგონი, ყველაფერი კარგად არის-მეთქი. პრეზიდენტი ძალიან კმაყოფილი დარჩა და მადლობაც გადამიხადა სამსახურისთვის.

ცოტა ხნის შემდეგ პრეზიდენტი ისევ დამიკავშირდა და გაჯავრებულმა მითხრა: ნინო, რატომ მომატყუეთ? მე ვუპასუხე, რომ სრული სიმართლე მოვახსენე და სიტყვასიტყვით გავუმეორე ჩემი ნათქვამი. პრეზიდენტი ცოტა დაიბნა და მითხრა: აბა, კაკო რატომ მეუბნება, კიტოვანმა ფეხები გაასავსავა, ვინდა თუ არა თავდაცვის მინისტრად მე უნდა დამნიშნოთო? ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია. რა უნდა პარლამენტში კაცს, რომელსაც ერისთვის ასეთ უმნიშვნელოვანეს დროს შეუძლია იცრუოს, რომელსაც შეუძლია ტკბილად იძინოს დღის

ვინ ვის არქმევს მოღალატეს?!

წერილი რედაქციას

დარწმუნებული ვარ, ვერ მიპასუხებთ, ვინაიდან, თქვენი მოწოდებული ინფორმაციის გაანალიზებით ცხადი ხდება, რომ ან მართლა ვერ ხვდებით, ან არ გინდათ გაიგოთ და დაინახოთ, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაში აყენებთ პრეზიდენტყოფილს, როდესაც კარიკატურაში ერთმანეთის მიყოლებით ასახელებთ: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ყოფილ თავმჯდომარეს თ. სიგუას და მის ყოფილ მოადგილეს, საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს მურმან ომანიძეს; გვარდიის ყოფილ სარდალს თენგიზ კიტოვანს და შს ყოფილ მინისტრს დილარ ხაბულიანს; შს მინისტრის ყოფილ მოადგილეს რომან გვენცაძეს და უზენაესი საბჭოს სამეურნეო სამმართველოს ყოფილ უფროსს სიმონ ხელაშვილს; უზენაესი საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს აკაკი ასათიანს და უზენაესი საბჭოს ყოფილი კომისიის თავმჯდომარეს ვაჟა ადამიას.

რაშია, ბატონებო, საქმე? ვითომ მართლა არ იცით ან გგონიათ, საზოგადოებას დაავიწყდა, რომ განხეთქილება ზ. გამსახურდიასა და მაშინდელ პრემიერს შორის მოხდა იმის გამო, რომ ბატონმა თენგიზმა მოითხოვა ოთხი მინისტრის (მ. ომანიძე, დ. ხაბულიანი, მ. ძოძუაშვილი და ზ. კოპალიანი) გადაყენება? უნდა შეგახსენოთ, რომ ვიდრე წერილის წერას დავასრულებდი, „მოღალატეთა“ სია კიდევ ერთი თვალსაჩინო წევრით გაიზარდა. ეს გახლავთ ყოფილი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი მანანა ძოძუაშვილი (გაზეთი „დრონი“. „მოღალატეთა სია იზრდება“). ვინაიდან, კარიკატურის შემდგენლები მოღალატეთა სიის გაზრდას გვპირდებიან, იმედი მაქვს ზ. კოპალიანის გვარსაც მალე ვიხილავთ მასში.. აი, რას ვკითხულობთ ძოძუაშვილისადმი წაყენებულ საინფორმაციო ბრალდებაში: „იგი მრავალი წლის განმავლობაში იყო სუკის აგენტი და ასრულებდა მის საგანგებო დავალებებს. არაოფიციალური მონაცემებით პირადად მ. ძოძუაშვილი ზ. გამსახურდიას აძლევდა წამლებს, რომლებიც უარყოფითად მოქმედებდა ამ უკანასკნელის ნერვულ სისტემაზე“.

საზოგადოებას უნდა შევახსენოთ, თუ როგორი თავგანწირვით იცავდა ზ. გამსახურდია „თავის ერთგულ“ მინისტრებს. ნებას ვიტოვებ ვკითხო — რა მოხდა? რატომ გაწირა ისინი პრეზიდენტყოფილმა? ნუთუ, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა თავის შეცდომას, თუ „ერთგულმა“ მინისტრებმა თავად მიატოვეს იგი?

კარიკატურის შემდგენლები უნდა დაფიქრდნენ იმაზე, რომ თვალსაჩინოს ხდიან ფაქტს, რომ ცამდე მართალნი იყვნენ ბატონები თ. სიგუა და თ. კიტოვანი, როდესაც დაჟინებით მოითხოვდნენ ზემოთ ჩამოთვლილი მინისტრების გადაყენებას. რა მათი ბრალია, თუ ისინი არ საჭიროებქნას, იგი ისევ მოხვდეს პარლამენტში.

შევეცდები დავხატო რეალური სურათი იმისა, თუ რა როლი ითამაშა უზენაესი საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა გვარდიისა და პრეზიდენტის შერიგების საქმეში. შესაძლოა, განაწყენებულმა ბ-ნმა აკაკიმ სამართალდამცავ ორგანოებსაც მიმართოს თავისი უახლოესი თანამებრძოლივით, მაგრამ მან უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ არსებობს ჩემს მიერ წაყენებული ბრალდების დამადასტურებელი საბუთები და, რაც მთავარია, არის ძალიან ბევრი მოწმე, ვიმედოვნებ, არ მოიწევს ბ-ნ თ. წიწნიაძის როლში გამოსვლა.

როდესაც მოლაპარაკება პრეზიდენტსა და გვარდიის ხელმძღვანელობას შორის გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და დეპუტატთა (ვ. შურღაია, ზ. ქობალია, ნ. ხარათაშვილი, ვ. ჯაში) მცდელობის შედეგად პრეზიდენტი გარკვეულწილად მოლბა და თითქოს რეალურად აღიქვამდა შექმნილ მდგომარეობას, ვისარგებლე სიტუაციით და პრეზიდენტს კატეგორიულად მოვთხოვე, საკუთარი თვალით ენახა რკონის სოფელში დაბანაკებული გვარდია და თვითონ დალაპარაკებოდა გვარდიელებს და მის ხელმძღვანელობას. მანამდე გვარდიის სარდლობა და პირადად თ. კიტოვანი ჩემი შუამავლობით ორჯერ შეხვდა პრეზიდენტს უზენაესი საბჭოს შენობაში. და ეს მაშინ, როდესაც არსებობდა თ. კიტოვანის დაპატიმრების რეალური საშიშროება. სამწუხაროდ, პრეზიდენტმა ვერ გაბედა რკონში ჩასვლა და იქ აკაკი ასათიანი გაგზავნა.

24 აგვისტოს საღამოს აკაკი ასათიანი თანმხლებ პირებთან ერთად მოვიდა პრეფექტურაში და მითხრა, რომ ეწადა თ. კიტოვანთან შეხვედრა და მოლაპარაკება.

ღამის 12 საათი იყო, როდესაც რკონში, გვარდიის ბანაკში მივედი და ბატონ თენგიზს გადავეცი ა. ასათიანის დანაბარები. გვარდიის ბანაკში გადაწყდა, რომ სტუმრები მეორე დილას 10 საათისთვის მიეყვანა მათთან. გვარდიის ხელმძღვანელობის დანაბარები გადავეცი პარლამენტარებს. ორ საათზე დავიშალეთ იმ გადაწყვეტილებით, რომ დილის 8 საათზე ჩემს კაბინეტში შევხვდებოდით ერთმანეთს. ბ-ნმა აკაკიმ სასტუმრო დაგვიწუნა და ღამის გასათევად გორს გაემგზავრა. მეორე დილას 8 საათზე უკვე სამსახურში ვიყავი და ველოდი პრეზიდენტის წარმოგზავნილებს, მაგრამ ამაოდ, ისინი არ ჩანდნენ. 12 საათზე დავრეკე გორში, სასტუმროში. პასუხი ასეთი იყო: ბატონმა აკაკიმ და მისმა თანმხლებმა პირებმა ცოტა წაიქეიფეს, გვიან დაიძინეს და ვერ გავაღვიძებთო. ჩემი დაჟინებული მოთხოვნით ისინი გააღვი-

12 საათამდე, მაშინ, როდესაც ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილის ყოფნა-არყოფნის საკითხის გადაწყვეტაში ასეთი მნიშვნელოვანი ფუნქცია დააკისრეს. როგორც ქალი იმასაც დავიწუწუნებ, რომ გადაღლილი, უძილო, დილის 9 საათიდან 1 საათამდე რომ მელოდინა, ბოდიშის მოხდა რა მოსატანია და, უბრალოდ უხერხულადაც არ უგრძვნია თავი ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარეს.

იმავე საღამოს პრეზიდენტმა დაურეკა მილიციის უფროსს თ. დვალიშვილს და უბრძანა — გადაეკეტა რკონისკენ მიმავალი გზა და დაპატიმრებული თ. კიტოვანი მისთვის ჩაეყვანა. როგორც ჩანს, განრისხებულ პრეზიდენტს რაიონის მილიციის უფროსისა და შს მინისტრის შესაძლებლობები აერია ერთმანეთში. თ. დვალიშვილს არც უფიქრია ბრძანების შესრულება, რისთვისაც იგი სასწრაფოდ გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. ეს იყო ის უკანასკნელი წვეთი, რომელმაც აავსო ჩემი მოთმინების ფიალა. იმავე საღამოს ჩემი მძღოლის და თ. დვალიშვილის ხელით პრეზიდენტს გავუგზავნე განცხადება ჩემი გადადგომის შესახებ. პრეზიდენტმა ჩემს განცხადებას რეზოლუცია არ დაადო. მეორე დღეს პრეზიდენტის პირადმა მდივანმა ბინაზე დამირეკა და მითხრა: პრეზიდენტს შენი განცხადება ძალიან ეწყინა, მოდი, ბოდიში მოიხადე და მიხედე შენს სამსახურსო. ცხადია, მე უარი ვთქვი სამსახურში დაბრუნებაზე. ზ. გამსახურდიამ არ გაითვალისწინა ჩემი განცხადება და ბრძანებით გამათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ისევ დამირეკა პრეზიდენტის მდივანმა და მითხრა: რას იტყოდი შენს თანამდებობაზე რომ აღგადგინოთო. ჩემი პასუხი უცვლელი იყო, რითაც ჩემს თავს საბოლოო განაჩენი გამოვუტანე, გავხდი კანონიერი ხელისუფლების მოღალატე.

ბატონო ე. წ. ეროვნული თავდაცვის შტაბის საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლებო! მიმაჩნია, რომ მე კი არ ვუღალატე საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას და პრეზიდენტს, არამედ ე. წ. კანონიერმა ხელისუფლებამ და პირადად პრეზიდენტმა გვიღალატეს მე და მრავალ ჩემისთანას და, რაც მთავარია, უღალატეს საქართველოს და ქართველ ხალხს.

ნორმალურ სახელმწიფოში კანონიერი ხელისუფლების ღალატი იგივეა სამშობლოს ღალატი. ხოლო ეს ისეთი ბრალდებაა, რომელიც ყველაზე თავშეკავებულ ადამიანსაც კი გამოიყვანს წონასწორობიდან. მეც ამან ამაღებინა ხელში კალამი თავის სამართლებლად, თუმცა თავის მართლების ნაცვლად ე. წ. კანონიერი ხელისუფლების მიმართ საბრალდებო გამოსვლა გამომივიდა, რაც უდავოდ ე. წ. ეროვნული თავდაცვის შტაბის საინფორმაციო სამსახურის „კარგი მუშაობის“ დამსახურებაა.

სოროპტიმა—სწრაფვა საუკეთესოსკენ

დღეს, როცა საქართველოში სიმშვიდე სანატრელი გაგვიხდა, როცა წამოიჭრა რთული დემოგრაფიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, როცა გადასაწყვეტია მრავალი საკითხი, სწორედ ახლა, ამ გაჭირვების ჟამს სოროპტიმისტთა საერთაშორისო ორგანიზაციამ ხელი გამოუწოდა საქართველოს ქალებს, რათა მათ უფრო მხნედ იგრძნონ თავი, იფიქრონ ბედნიერებაზე, კაცთმოყვარეობაზე, მშვიდობაზე.

სიტყვა სოროპტიმა ლათინურია და ნიშნავს ქალთა სწრაფვას ყოველივე საუკეთესოსკენ. ცნობილია, რომ სოროპტიმისტთა პირველი კლუბი ჩამოყალიბდა 1921 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში. დღეს მსოფლიოს 90 ქვეყანაში 2800-ზე მეტი კლუბია. სოროპტიმისტთა კლუბი „ბათუმი“ ჯერჯერობით ერთადერთია საქართველოში. ევროპის სოროპტიმისტთა ფედერაციის გამგეობის წევრმა, თურქმა ფიგენ ტუზლალიმ სპონსორობა გაუწია საქართველოს ქალებს და შარშან მისი ინიციატივით ევროპის ქვეყნების სოროპტიმისტთა კონგრესმა, რომელიც ინგლისში გაიმართა, ცნო და რეგისტრაციაში გაატარა კლუბი „ბათუმი“ როგორც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ორგანიზაცია.

ახლახან ბათუმში გაიმართა სოროპტიმისტთა საერთაშორისო კონგრესი, აქვე მოეწყო კლუბ „ბათუმის“ წარდგენება. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ ევროპის ფედერაციის პრეზიდენტი ქალბატონი ნინა კომანაკუ, კლუბ „ბათუმის“ სპონსორი ქალბატონი ფიგენ ტუზლალი და სხვა ქვეყნების ასამდე წარმომადგენელი.

კონგრესზე წაიკითხეს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბატონ ჩეთინის მისასალმებელი დეპეშა.

სიტყვებით გამოვიდნენ ოცზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები. სტუმრებმა „ბათუმის“ პრეზიდენტს ნათელა დუმბაძესა და ვიცე-პრეზიდენტს რენა სარიშვილს გადასცეს საჩუქრად ჩამოტანილი მედიკამენტები და სუვენირები.

ქალბატონმა ნინა კომანაკუმ კლუბში ახალმიღებულ 25 ქალს გადასცა სამკერდე ნიშნები და კლუბის წევრობის მოწმობა.

სტუმრებმა აჭარაში რამდენიმე დღე დაყვეს. მოაწყვეს პრესკონფერენცია. დაათვალიერეს ბათუმის ღვთისმშობლის ტაძარი, გონიოს ისტორიული ციხე და სხვა ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში..

მიხეილ ბორბილაძე.



ზაურ მაკარაძე

რაც ყველამ არ იცის

იფრინე, „ორბო“!

ისტორიაში პირველად, საქართველოს საკუთარი ავიაციის ძალებით განხორციელდა შესანიშნავი რეისი — თბილისი-ნიუ-იორკი. „ორბის“ ბორტზე იმყოფებოდა ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მუშაობაში უნდა მიეღო მონაწილეობა. ვიტყვი ყოველგვარი გაზვიადებისა და დითირამბების გარეშე: აფერუმ, ბიჭებო, დიდი საქმე გააკეთეთ!

ვის მოუვიდა აზრად ასეთი სარისკო, გაბედული იდეა? — რა თქმა უნდა, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსს, პირველი კლასის მფრინავს ზურაბ ჭანკოტაძეს. ის თავადვე იყო ეკიპაჟის ხელმძღვანელი.

მახსენდება „მიმინო“. რა ჯაფა დასჭირდა ვალიკოს — ვახტანგ კიკაბიძეს, იმისთვის, რომ სათანადო განათლება მიეღო და საზღვარგარეთის რეისებზე ეფრინა. სამწუხაროდ, ეს მწარე სიმართლეა.

—ჩვენს ბიჭებს იშვიათად აძლევდნენ საზღვარგარეთ ხომალდებით ყოფილი კავშირის „წმინდათაწმინდა“ საზღვრების გადაფრენის შესაძლებლობას, — ამბობს ზურაბ ჭანკოტაძე, — არც სათანადო აღჭურვილობა გაგვაჩნდა. როგორც წესი, ყურადღებას არავინ გვაქცევდა და ასეთი შორეული რეისების შესრულებაზე ფიქრი მხოლოდ სიზმარში თუ შეიძლებოდა.

ახლა ახდა სიზმარი.

უპრეცედენტო რეისისათვის მზადება ორი კვირით ადრე დაიწყეს. ტუ-154-ის, ჩვენს შემთხვევაში „ორბის“, შორეული ფრენისათვის განკუთვნილი მოწყობილობით აღჭურვა, მფრინავების მომზადება იყო აუცილებელი, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის იყო — ყველასთვის დაემტკიცებინათ, რომ ქართველებს შეუძლიათ დამოუკიდებლად ფრენა.

ამისათვის, ტრენაჟორებზე სავარჯიშოდ, სათანადო დოკუმენტაციისა და თვითმფრინავზე დაყენებული ახალი სისტემების შესასწავლად მოსკოვს ორი ეკიპაჟი გაემგზავრა. წინასწარ უნდა ითქვას, რომ „ორბზე“ დამონტაჟდა სპეციალური რადიო-სანავიგაციო სისტემა, რომელიც კოსმოსური თანამგზავრების მეშვეობით აფიქსირებს თვითმფრინავის ადგილმდებარეობას საჰაერო სივრცეში.

გარდა ტექნიკური და პროფესიული მხარეებისა, საჭირო იყო რამდენიმე წმინდა ორგანიზაციული, ფორმალური საკითხის მოგვარება. ალბათ, ყველამ არც იცის, რომ საქართველოს აეროფლოტი ჯერ მთლიანად არ გამოყოფია ყოფილი სსრკ-ს აეროფლოტს და კვლავ ბევრად არის დამოკიდებული მასზე. ჩვენი აეროფლოტის თვითმფრინავები კვლავ სარგებლობენ აწ დაშლილი და არარსებული ქვეყნის ატრიბუტიკით.

— როგორი იქნებოდა საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის ნიუ-იორკში ჩაფრენა ყოფილი კავშირის ატრიბუტიკიანი თვითმფრინავით?—თავად სვამს კითხვას ბატონი ზურაბი,—ასე არ ივარგებდა.. საქართველოში ჩამოყალიბებულია არასახელმწიფოებრივი, ერთობლივი, სააქციონერო ავიაკომპანია „ორბი“, რომელიც რეგისტრირებულია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციაში („ICAO“) და აქვს თავისი ქართული ემბლემატიკა. გადავწყვიტეთ, ეს რეისი სწორედ „ორბს“ შეესრულებინა.

თვითმფრინავი საბჭოურია. ამიტომ იმის დასამტკიცებლად, რომ ეკიპაჟი უზრუნველყოფდა თვითმფრინავის ფრენის უსაფრთხოებას, საჭირო იყო სათანადო ნებართვის აღება სახელმწიფოთაშორისო საავიაციო კომიტეტისა და საკონსტრუქტორო ბიუროსაგან.

ასეთი ნებართვაც მიიღეს.

თბილისის აეროპორტი.

22 სექტემბერი, 1992 წელი.

„ორბი“ აფრინდა.

— ბატონო ზურაბ, ასეთი პასუხსაგები გაფრენის წინ, ალბათ, გულმა რეჩხი გიყოთ, შეგეშინდათ.

— არა, არაფერი მსგავსი არ მომსვლია.

— ბატონი ედუარდის ან სხვა მგზავრების სახეზე ხომ არ შეგინიშნავთ ან კმაყოფილება, ან შეშფოთება?

— არა.

თბილისი-კენიგსბერგი-რეიკიავიკი-ნიუ-იორკი. ასეთი მარშრუტით იფრინეს. ჰაერში დაყვეს 11 საათი, სამუშაო დრომ 16 საათი შეადგინა. თბილისიდან კენიგსბერგამდე 2100-2200 კილომეტრია, კენიგსბერგიდან ნიუ-იორკამდე — დაახლოებით ამდენივე, სულ თბილისიდან ნიუ-იორკამდე კი 9 ათასზე მეტი.

ყველგან თბილად ხვდებოდნენ, განსაკუთრებით რეიკიავიკში, ნიუ-იორკში. რაიმე ინციდენტი ან საჰაერო უსიამოვნება არ ყოფილა. ეკიპაჟი შესანიშნავად, უშენიშვნოდ მართავდა „მანქანას“. იფრინეს 12 ათასი მეტრის სიმაღლეზე. ღრუბლებს ზემოთ ბრდღვიალა მზე ეკიდა. — მხოლოდ ერთხელ, რეიკიავიკში ხშირი ნისლი დაგვიხვდა. აეროპორტი დაკეტილი იყო, მაგრამ გახსნეს. შეუფერხებლად მოგვამარაგეს საწვავით, პროდუქტებით და გზაც დაგვილოცეს..

ნიუ-იორკი. „კენედის“ აეროპორტი.

— ამერიკაში ორჯერ ვარ ნამყოფი, მაგრამ ნიუ-იორკში პირველად გახლდით. გრანდიოზული აეროპორტია. რა მომსახურების კულტურა, რა სერვისი, რა პროფესიონალიზმი, გლობალური მზროვნების ხალხი, — აღფრთოვანებას ვერ მალავს ქართველი მფრინავი, — ჩვენ სადა ვართ ჯერ. უკულტურობა, არაპროფესიონალიზმი, სპეკულაცია, — აი, ჩვენი დამახასიათებელი ნიშნები... ამას დაუმატეთ საწვავის დეფიციტი. 1 ოქტომბრამდე 180 ათასი ტონა საავიაციო საწვავი უნდა მიგვეღო, მაგრამ იცით, რამდენი მივიღეთ? — 50 ათასი ტონა...

— მიუხედავად პრობლემებისა, შეუძლია საქართველოს ავიაციას, საკუთარ მფრინავებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს დაეყრდნოს შორეულ რეისებში?

— აუცილებლად, მაგრამ ჩვენი დარგი აქამდე არაპრესტიჟულად ითვლებოდა. ახლა, როცა იხსნება საზღვარგარეთის რეისები, დაინტერესება გაიზრდება, შესაბამისად, ნიჭიერი, გაბედული, ინტელექტუალური ახალგაზრდობის მოსვლას ველით.

— როდის ვიხილავთ სტიუარდესებად ლამაზ, ზრდილ ქართველ გოგონებს?

— არ ვიცი, ძნელი სათქმელია, ჩემო ბატონო.

უკან მობრუნებისას მარშრუტი შეიცვალა. ედუარდ შევარდნაძე ბორის ელცინს უნდა შეხვედროდა. ნიუ-იორკი-განდერი (კანადა)-რეიკიავიკი-მოსკოვი-თბილისი. ეს გზაც მშვიდობიანად დაფარა „ორბმა“.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციას უკვე აქვს რამდენიმე საერთაშორისო საჰაერო მაგისტრალი — თელ-ავივში, ფრანკფურტში, ვენაში; სამი დღის წინ ტექნიკური რეისი განხორციელდა ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში, აპირებენ საჰაერო გზის გაკაფვას ჩინეთისაკენ.

ავიაკომპანია „ორბის“ გენერალური დირექტორი ვასო ჯამბაზიშვილი ამჟამად ისრაელში იმყოფება. ამ ქვეყნის ერთ-ერთი ფირმა „ბოინგ-727“-ს გვთავაზობს.

თავად ზურაბ ჭანკოტაძე ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს შეხვდა ავიაკომპანია „დელტას“ წარმომადგენლებს. მხარეებმა მოილაპარაკეს თანამშრომლობისა და ახალი რეისების გახსნის შესაძლებლობებზე.

— ცხოვრება წინ მიდის. — ამერიკაში ვნახე გლობუსი, რომელზეც საქართველო გამოტანილი იყო როგორც ცალკე, დამოუკიდებელი ქვეყანა, — მითხრა ბატონმა ზურაბმა. — ეს ფაქტია და უნდა დავიჯეროთ.

მე და ჩემმა კოლეგამ აფხაზეთში „ორბით“ ვიმგზავრეთ. უკან მობრუნებისას კვლავ „ორბს“ დავემგზავრეთ, რომელსაც გეზი თელ-ავივისკენ აეღო. მაშინ რეპორტაჟს ასე ვამთავრებდით: „თვითმფრინავის ილუმინატორიდან ვიცქირებით. ღამის წყვდიადშია ჩაძირული საქართველო, ჩვენი პატარა ქვეყანა. ალაგ-ალაგ, რომელიმე ქალაქს ან სოფელს რომ გადავუფრენთ, იფეთქებს სინათლე და გაჰქრობს წამით წყვდიადს“...

იფრინე, „ორბო“! გააპე წყვდიადი!...

* * *

სურათზე: ავიაკომპანია „ორბის“ თვითმფრინავის ეკიპაჟი (მარცხნიდან): ელგუჯა დვალი — საფრენი კომპლექსის უფროსის მოადგილე; ზურაბ ფერიშვილი — ინსპექციის უფროსის მოადგილე; ელიზბარ ადამია — ბორტინჟინერი; მიხეილ ჩანადირი — მეორე მფრინავი; ვაჟა ბადრიაშვილი — ბორტინჟინერ-ინსტრუქტორი; ალექსანდრე ბლაგონრავოვი — მფრინავი-ინსპექტორი; იური ქოჩლავოვი — შტურმან-ინსტრუქტორი, ზურაბ ჭანკოტაძე — სამმართველოს უფროსი.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო.

ეძღვნება გიორგი წერეთლის ხსოვნას

რესპუბლიკის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოჩენილი ქართველი მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების 160 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა. ცენტრალურ სტენდზე წარმოდგენილია „პირველი ნაბიჯი“, „მგზავრის წიგნი“ ანუ „კოკოლიკი, ჩიკოლიკო და კუდაბზიკა“, „რუხი მგელი“, „მამიდა ასმათი“, „თოფის სროლა“ და სხვა ნაწარმოებები, რომლებშიც ნათლად აისახა ჩვენი ქვეყნის ყოფაცხოვრება საუკუნის დამდეგს.

მწერალი მწვავედ განიცდიდა ხალხის სიღატაკეს, ერის კულტურულ-პოლიტიკურ უუფლებობას და ჩამორჩენილობას, აქტიურად ეხმიანებოდა XIX საუკუნის 60-იანი წლების სოციალურ პრობლემებს. ქართული საზოგადოების სხვადასხვა ფენის, იმდროინდელი საქართველოს სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების უტყუარი სურათი მოგვცა გიორგი წერეთელმა მოთხრობა „გულქანსა“ და რომან „პირველ ნაბიჯში“.

ცხოვრების მანკიერებათა მხილებას, ადამიანის ზნეობრივ სრულყოფას ემსახურება მისი დრამები „ჭიბრი“, „ოჯახის ასული“, „დარია“, პოემები „ლომკაცი“, „მწუხარე დედა“, „არინკა“ და სხვა თხზულებანი, რომლებიც გამოფენაზეა წარმოდგენილი.

შემთხვევა

ცხვარი პატრონს დაუბრუნეს

როგორც ახალგორის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ **ვ. ლუნაშვილმა** გუშინ შეგვატყობინა, მიმდინარე წლის 29 სექტემბერს ახალგორის რაიონის ქოლოთ-ქვითკირის მთის მიდამოებიდან ოსმა ყაჩაღებმა გაიტაცეს კორინთის სასოფლო მეურნეობის კუთვნილი 1800 სული ცხვარი და მწყემსი გივი ზარხელი. პოლიციის რაიონული განყოფილების უფროსის, პოდპოლკოვნიკ ვლადიმერ ოქრუაშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა ორი ოპერატიული ჯგუფი, რომელთაგან ერთი გამტაცებელთა კვალს გაჰყვა, მეორე კი გაიგზავნა ნიქოზში მდგარი ქართველი სამშვიდობო ჯარის ხელმძღვანელობასთან, რომელმაც გამოჰყო შესაბამისი ძალები უღელტეხილების ჩასაკეტად. მალე აღმოაჩინეს კიდეც გამტაცებლები, რომლებმაც შეტაკების შემდეგ ტყეს შეაფარეს თავი. გატაცებული ცხვარი რაიონს დაუბრუნდა. გრძელდება მძევლად წაყვანილი მეცხვარის ძებნა. რაიონის გამგეობა მადლობას უხდის ოპერაციის ყველა მონაწილეს, განსაკუთრებით კი ქართული სამშვიდობო ძალების ჯარისკაცებს და მათ მეთაურებს.

ლიდერის მერვე გამარჯვება

ეროვნული ჩემპიონატის მერვე ტურის შედეგებმა კიდევ უფრო განამტკიცა ქართული ფეხბურთის ფლაგმანის — თბილისის „დინამოს“ წამყვანი პოზიციები. ლიდერმა ზედიზედ მერვე შეხვედრა მოიგო, ამჯერად სტუმრად „ბათუმთან“ — 2:1. გამარჯვების გოლი 87-ე წუთზე პენალტური დარტყმით გაიტანა მიხეილ ყაველაშვილმა.

პირველი მარცხი განიცადა დაკარგული ქულებით დინამოელთა უახლოესმა მდევარმა — გურჯაანის „ალაზანმა“. მას ქუთაისში „ტორპედომ“ სძლია — 4:2.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ფოთის „კოლხეთი 1913“ — თელავის „კახეთი“ — 4:0, ზესტაფონის „მარგვეთი“ — სოხუმის „ცხუმი“ — 2:1, გორის „დილა“ — ხაშურის „იმერია“ — 3:0, თბილისის „მრეტები“ — „სამტრედია“ — 3:0, რუსთავის „გორდა“ — გალის „მზიური“ — 3:0.

მოგვიანებით გაიმართება ხობის „კოლხეთისა“ და თბილისის „შევარდენი 1906“-ის, ზუგდიდის „ოდიშისა“ და ლანჩხუთის „გურიის“, წყალტუბოს „სამგურალისა“ და ოჩამჩირის „ამირანის“ მატჩები.

ანგარიში უცვლელია

ბელგრადში გრძელდება ფიშერ-სპასკის დუელი. მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე პარტიები ყაიმით დასრულდა.

ანგარიში კვლავინდებურად მიჰყავს ამერიკელ მოჭადრაკეს — 5:3.

ჩოგბურთის კორტებზე

ამ დღეებში დასრულდა რამდენიმე საინტერესო საერთაშორისო ტურნირი. გაეცანით გამარჯვებულთა ვინაობას და საპრიზო ფონდის რაოდენობას:

ვაჟები. შვეიცარია. ბორის ბეკერი (გერმანია). 775000 დოლარი.

იტალია. სერხიო ბრუგერა (ესპანეთი). 315000 დოლარი.

ბრისბენი (ავსტრალია). გიიომ რაუ (საფრანგეთი). 260000 დოლარი.

ქალები. ლაიფციგი (გერმანია). შტეფი გრაფი (გერმანია). 225000 დოლარი.

საფრანგეთი. მანუელა მალეევა — ფრანიერი (შვეიცარია). 150000 დოლარი.

კენჭისყრის შედეგად

უეფას შტაბ-ბინაში მოეწყო ევროპის საკლუბო ტურნირების მეორე ეტაპის წილისყრა, რომლის შედეგადაც მოწინააღმდეგენი ასე დაწყვილდნენ: **ჩემპიონთა თასი.** 1/8 ფინალი: ცსკა (მოსკოვი) — „ბარსელონა“ (ესპანეთი), „სიონი“ (შვეიცარია) — „პორტო“ (პორტუგალია), „ბრიუგე“ (ბელგია) — „ავსტრია“ (ვენა), „დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „მარსელი“ (საფრანგეთი), „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — „შტუტგარტი“ (გერმანია) ან „ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი), „სლოვანი“ (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკეთი) — „მილანი“ (იტალია), აეკ (ათენი, საბერძნეთი) — „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია), „გეტებორგი“ (შვედეთი) — „ლეხი“ (პოზნანი, პოლონეთი).

თასების მფლობელთა თასი. 1/8 ფინალი: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ლივერპული“ (ინგლისი), „ტრაბზონსპორი“ (თურქეთი) — „ატლეტიკო (მადრიდი), „სტიაუა“ (რუმინეთი) — „ორჰუსი“ (დანია), „ადმირა-ვაკერი“ (ავსტრია) — „ანტვერპენი“ (ბელგია), „ლიუცერნი“ (შვეიცარია) — „ფეიენოორდი“ (როტერდამი, ჰოლანდია), „ვერდერი“ (ბრემენი, გერმანია) — „სპარტა“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკეთი), „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) — „მონაკო“ (საფრანგეთი), „პარმა“ (იტალია) — „ბოავიშტა“ (პორტო, პორტუგალია).

უეფას თასი. 1/16 ფინალი: „რეალი“ (მადრიდი) — „ტორპედო“ (მოსკოვი), „დინამო“ (მოსკოვი) — „ტორინო“ (იტალია), „დინამო“ (კიევი) — „ანდერლეხტი“ (ბელგია), „ნაპოლი“ (იტალია) — „პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი) ან პაოკი (საბერძნეთი), „ვიტესი“ (ჰოლანდია) — „მეჰელენი“ (ბელგია), „კაიზერსლაუტერნი“ (გერმანია) — „შეფილდ უენსდეი“ (ინგლისი), „სელტიკი“ (შოტლანდია) — „ბორუსია“ (დორტმუნდი, გერმანია), „აინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი, გერმანია) — „გალატასარაი“ (თურქეთი), „ჰარტსი“ (შოტლანდია) — „სტანდარდი“ (ბელგია), „ოსერი“ (საფრანგეთი) — კბ „კოპენჰაგენი“ (დანია), „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) „იუვენტუსი“ (იტალია), „ბენფიკა“ (პორტუგალია) — „ვაც იზო“ (უნგრეთი), „ფენერბახჩე“ (თურქეთი) — „სიგმა“ (ოლომოუცი, ჩეხოსლოვაკეთი), „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) — „რომა“ (იტალია), „ვიტორია“ (გიმარაიში, პორტუგალია) — „აიაქსი“ (ჰოლანდია), „რეალი“ (სარაგოსა) — „ფრემი“ (კოპენჰაგენი, დანია).

მატჩები გაიმართება 21 ოქტომბერს და 5 ნოემბერს.

ხსოვნა

ვლადიმერ ლომაია

გარდაიცვალა შინაგან საქმეთა ორგანოების ღვაწლმოსილი მუშაკი, გადამდგარი მილიციის პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ ილიას ძე ლომაია.

იგი დაიბადა 1916 წ. სენაკში. დიდი სამამულო ომიდან დაბრუნდა მეორე ჯგუფის ინვალიდი და მუშაობა დაიწყო შს ორგანოებში, სადაც ორმოც წლამდე დაჰყო.

სადაც კი უმუშავია, ყველგან გამოირჩეოდა მინდობილი საქმის ერთგულებით, პატიოსნებით, ადამიანებთან ურთიერთობაში ყოველთვის იყო გულისხმიერი და ჰუმანური, ამავე დროს თანამშრომლების მიმართ იყო მომთხოვნი და პრინციპული. შინაგან საქმეთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის იგი დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით.

მძიმე მოსაგონრად დარჩება ახლობლებს და მეგობრებს აწ გარდაცვლილი ვეტერანი მუშაკის ვ. ლომაიას სახელი, რომლის მრავალი აღზრდილი მუშაობს დღეს შინაგან საქმეთა ორგანოებში.

ვ. ლომაიას სახელს ყოველთვის სიამაყით გაიხსენებენ მისი აღზრდილები და კოლეგები, ყველა, ვინც მას იცნობდა.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა.

მალხაზ პაიკიძე

საქართველოს მტრის ტყვიამ კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე შეიწირა — 26 სექტემბერს მარტვილის შს რაიგანყოფილებაზე თავდასხმისას დაიღუპა ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს პოლიციის ზემდეგი მალხაზ შოთას ძე პაიკიძე.

ძნელი შესაგუებელია, რომ ამიერიდან შს ორგანოებში აღარ იმუშავებს ერთგული მეგობარი, თავისი საქმის უანგაროდ შემსრულებელი, სამშობლოს პატრიოტი მალხაზ შოთას ძე პაიკიძე, სწორედ ასეთი ახსოვთ იგი მის მეგობრებს და კოლეგებს.

ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი იყავი, ჩვენო მალხაზ, ნათელი ყოფილიყოს შენთვის უკანასკნელი სამყოფელი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს რესპუბლიკის საავტომობილო გზების სახელმწიფო კონცერნი „საქავტოგზა“ იუწყება, რომ გარდაიცვალა გზების ექსპლოატაციის განყოფილების უფროსი

ვაჟა ვასილის ძე ხართიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, გ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0468.

ინდექსი 60484